1958

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

6—7

ივნისი. ივლისი

თბილისი—1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 334

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 14 აპრილი

სამტრედიისა და ვანის რაიონების სკოლების დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სამტრედიისა და ვანის რაიონების სკოლების დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ კარგად მუშაობენ სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშის ნინოშვილის სახელობის (გამგე ა. ქაჯაია), ნაფაღაურის (გამგე ე. დუნდუა), ვანის რაიონის სოფ. ბაძგის უბნის (გამგე დ. კანდელაკი) დაწყებითი სკოლები.

მასწავლებლებიდან კარგად მუშაობენ სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშის ნინოშვილის სახელობის დ/სკოლის III-და IV კლასების არითმეტიკის მასწავლებელი ა. ქაჯაია, IV კლასის გეოგრაფიის და ხელგარჯილობის მასწავლებელი მ. ნიკურაძე, III კლასის რუსული ენის მასწავლებელი ე. კოხრეიძე, სოფ. ნაფაღაურის III და IV კლასების არითმეტიკის და ხელგარჯილობის მასწავლებელი ვ. დუნდუა, III კლასის ქართული ენის მასწავლებელი ე. შენგელია, სოფ. პირველ ეწერ-ბაშის IV კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი მ. ნაცვლიშვილი, ახალსოფლის დ/სკოლის I კლასის მასწავლებელი გ. მანჯგალაძე, II კლასის მასწავლებელი თ. ჯანელიძე; ვანის რაიონის სოფ. მუქედის შვიდწლიანი სკოლის III კლასის მასწავლებელი ნ. ბელთაძე, სოფ. ბაძგის უბნის დ/სკოლის მასწავლებელი ვ. ხარაბაძე, II კლასის მასწავლებელი ნ. შალამბერიძე, სოფ. მიქელეფონის დ/სკოლის III კლასის მასწავლებელი დ. უღრელიძე. ეს მასწავლებლები წინასწარ ემზადებიან გაკვე-

თილ ებისათვის, სწავლების დროს იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეებს უმუშავებენ დამოუკიდებელი შრომის ჩვევებს.

სასწავლო მიზნებისათვის კარგად არის გამოყენებული საცდელი მიწის ნაკვეთები ვანის რაიონის სოფ. ბაძგის უბნის (გამგე დ. კანდელაკი) და სამტრედიის რაიონის სოფ. ნაფალაურის (გამგე ვ. დუნდუა) დაწყებით სკოლებში.

მაგრამ სამტრედიისა და ვანის რაიონების დ/სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

ვანის რაიონის სოფ. ზედა ამაღლების დ/სკოლის (გამგე ს. ერისთავი) ეზო შეუღობავია, სასკოლო მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელია. არ არის გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის. სკოლის შენობის სახურავი შეუკეთებელია, საკლასო ოთახებში წყალი ჩამოდის. სკოლა არ არის უზრუნველყოფილი ინვენტარით და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით (რუკები, გლობუსი, კომპასი).

განათლების განყოფილებამ ამ სკოლაში მეზობელი სკოლიდან შეთავსებით მეოთხე მასწავლებელი დანიშნა მაშინ, როდესაც მასწავლებელი ნ. დვალიშვილი 6 საათზე მუშაობს. ამჟამად I კლასში გაკვეთილები განაწილებულია 3 მასწავლებელზე.

სამტრედიის რაიონის სოფ. პირველი ეწერ-ბაშის დაწყებითი სკოლის პირველ კლასს ასევე სამი მასწავლებელი ასწავლის.

ვანის რაიონის სოფ. ზედა ამაღლების დ/სკოლის III კლასის მასწავლებელი თ. კვაჩიძე უპასუხისმგებლობას იჩენს ქართულ ენაში მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორების საქმეში. იგი არ ახდენს დამახასიათებელი ტიპიური შეცდომების გაანალიზებას. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები შეფასებულია არაობიექტურად. დაბალია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების დონე, მოსწავლეები და თვით მასწავლებელიც ზეპირი მეტყველების დროს ხმარობენ კუთხურ გამოთქმებს.

დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს სოფ. მუჯედის შვიდწლიანი სკოლის II კლასის ქართული ენის მასწავლებელი მ. ბაკურაძე. არის შემთხვევები, როდესაც მასალის წაკითხვის დროს მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომებს მოსწავლეები ასწორებენ. მასწავლებელი გრამატიკულ მასალას ტექსტიდან მოწყვეტით ასწავლის, მას არ შესწევს კლასის ყურადღების მობილიზების უნარი. ამის შედეგად ადგილი აქვს უწესრიგობას გაკვეთილზე.

დაბალ დონეზე ისწავლება რუსული ენა ვანის რაიონის სოფ. ზედა ამაღლების დ/სკოლის II—IV კლასებში (მასწავლებელი გრ. ჩიტორელიძე). ღარიბია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი. მოსწავლეები არასწორად გამოთქვამენ ბგერებს და ცუდად უსვამენ მახვილს. მასწავლებელი ნაკლებად შენიშნავს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს და არ ასწორებს მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქვედაციხესულორის III კლასის მოსწავლეებმა არითმეტიკაში (მასწავლებელი ქ. ლომინაძე). მოსწავლეებმა არ იციან მრავალნიშნა რიცხვების ორნიშნა რიცხვზე გაყოფა, სუსტად იციან რიცხვების წაკითხვა. სკოლის გამგე ნ. კორძაძე იშვიათად ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე. სუსტად დგას სკოლაში პიონერთა შორის მუშაობა. საკავშირო ალკკ VIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად არ არის აღდგენილი ოქტომბრელთა ჯგუფი, არ არის გამოყოფილი პიონერთა და შრომითი სწავლებისათვის სამუშაო ოთახი, რისი შესაძლებლობაც სკოლას გააჩნია.

ოქტომბრელთა ჯგუფი არაა აღდგენილი ვანის რაიონის სოფ. ზედა ამაღლების (გამგე ს. ერისთავი), მიქელეფონის (გამგე დ. უღრელიძე), სამტრედიის რაიონის ახალსოფლის (გამგე კ. შენგელია), პირველ ეწერ-ბაშის (გამგე მ. ნაცვლიშვილი) დაწყებით სკოლებში. ამ სკოლების გამგეები არ იცნობენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებს პიონერთა და ოქტომბრელთა შორის მუშაობის საკითხებზე.

ვანის რაიონის სოფ. მიქელეფონის (გამგე დ. უღრელიძე) და სამტრედიის რაიონის სოფ. პირველ ეწერ-ბაშის (გამგე მ. ნაცვლიშვილი) დაწყებითი სკოლების გამგეებს არ აღმოაჩნდათ სკოლის წლიური სამუშაო გეგმა. ამ სკოლებში მოუწესრიგებელია სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა. სუსტად დგას სკოლაში შინა სასკოლო კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე.

სამტრედიის რაიონის სოფ. პირველ ეწერ-ბაშის დ/სკოლის I—II კლასების მასწავლებელი ბ. გოცირიძე მოუმზადებელი შევიდა ხატვის გაკვეთილზე, არ ჰქონდა წინასწარ გამზადებული სახატავი მასალის ნიმუშები ცალკე კლასებისათვის, მოსწავლეები მოუმზადებელი იყვნენ.

დაბალ დონეზე ატარებს ხელგარჯილობის გაკვეთილს ვანის რაიონის სოფ. მიქელეფონის დ/სკოლის II და IV კლასების მასწავლებელი დ. უღრელიძე და სოფ. მუქედის შვიდწლიანი სკოლის II კლასის მასწავლებელი მ. ბაკურაძე. ეს მასწავლებლები წინასწარ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, თანმიმდევრულად

არ გადასცემენ საპროგრამო მასალას, გაკვეთილზე ბევრი მოსწავლე უსაქმოდაა, იგრძნობა უწესრიგობა, მოსწავლეები არ იცავენ სისუფთავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი სკოლის დირექტორი და გამგე არ ამარაგებს სკოლებს ხელგარჯილობის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა და ისტორიის სწავლებისათვის საჭირო სასწავლო მოწყობილობით. ეს საგნები ისწავლება ზეპირსიტყვიერად. იშვიათად ეწყობა ექსკურსიები კოლმეურნეობებსა, საწარმოებსა და საკოლმეურნეო ფერმებში.

მიმდინარე სასწავლო წლის I ნახევარში სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების მიერ (გამგე გ. კანდელაკი) საინსპექტორო შემოწმება ჩატარებულია ცხრიდან 8 დაწყებით სკოლაში, ხოლო ვანის რაიონის განათლების განყოფილების მიერ (გამგე გ. ძაგნიძე) 16-დან 14 დ/სკოლაში. საინსპექტორო შემოწმების მასალებში და მიცემულ მითითებებში თითქმის არაფერია ნათქვამი პირველდაწყებითი პოლიტექნიკური სწავლების ღონისძიებათა შესახებ. განათლების განყოფილებებს არ მოუხდენია მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დ/სკოლების გამგეებმა:

ა) მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებლების მუშაობაზე;

ბ) უზრუნველჰყონ სკოლები ხელგარჯილობის, ხატვის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ისტორიის სწავლებისათვის საჭირო მასალითა და ხელსაწყო იარაღებით, მოაწესრიგონ სასწავლოსაცდელი მიწის ნაკვეთი;

გ) სათანადოდ მოამზადონ და ჩაატარონ სასწავლო ექსკურსიები მახლობელ კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მეცხოველეობის ფერმებში;

დ) ქმედითი დახმარება გაუწიონ პიონერთა ორგანიზაციებს და მიაღწიონ, რომ პიონერები იყვნენ მაგალითის მაჩვენებლები სწავლაში მაღალი წარმატებების მიღწევისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში; საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად აღადგინონ ოქტომბრელთა ჯგუფები და გააძლიერონ მუშაობა მათ შორის;

ე) წესრიგში მოიყვანონ სასკოლო ბიბლიოთეკები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ეზო-კარმიდამოს გამწვანებას, სანიმუშოდ დაიცვან სასკოლო შენობა, სასწავლო ნივთები და სასკოლო ინვენტარი, დაიცვან სასკოლო და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა.

2) სამტრედიისა და ვანის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. გ. კანდელაკი, გ. ძაგნიძე).

2) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები სწავლა-აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ბ) აღკვეთონ დ/სკოლის I—II კლასებში სწავლების საგნობრივი სისტემა;

გ) სისტემატურად შეამოწმონ სკოლებისადმი მიცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა;

დ) ჩააბან დაწყებითი სკოლების მასწავლებლები დაუსწრებელ სწავლებაში და გაუწიონ მათ მუშაობაში დახმარება.

3. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის ვანის რაიონის სოფ. ზედა ამაღლების დ/სკოლის გამგეს ამხ. ს. ერისთავს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისა, შრომითი სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისა და პიონერთა შორის მუშაობისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის სოფ. ქვედა-ციხესულორის დ/სკოლის გამგეს ამხ. ნ. კორძაძეს გამოეცხადოს საყვედური.

5. სკოლის წლიური სამუშაო გეგმის დაგვიანებით შედგენისა და I—II კლასებში საგნობრივი სისტემის დაშვებისათვის სამტრედიის რაიონის სოფ. პირველ ეწერ-ბაშის დ/სკოლის გამგეს მ. ნაცვლიშვილს გამოეცხადოს საყვედური.

6. საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის:

ქვემოციხესულორის დ/სკოლის III კლასის არითმეტიკის მასწავლებელ ქ. ლომინაძეს, ზედა ამაღლების დ/სკოლის III კლასის მასწავლებელ თ. კვაჩიძეს, მუქედის შვიდწლიანი სკოლის II კლასის მასწავლებელ მ. ბაკურაძეს, სამტრედიის რაიონის სოფ. პირველ ეწერ-ბაშის I—II კლასების ხატვის მასწავლებელ ბ. გოცირიძეს გამოეცხადოთ საყვედური.

7. ვანის რაიონის განათლების განყოფილებამ ზედა ამაღლების დ/სკოლის II–IV კლასების რუსული ენის მასწავლებელ გრ. ჩიტარელიძეს და ამავე რაიონის სოფ. მიქელეფონის დ/სკოლის II–IV კლასების ხელგარჯილობის მასწავლებელ დ. ულრელიძეს საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის დაადოს სათანადო სასჯელი.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 344

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 16 აპრილი

ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის არსებობის 25 წლისთავთან დაკავშირებით კეთილსინდისიერი და ენერგიული მუშაობისათვის დაჯილდოვებული იქნან ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ ინსტიტუტის შემდეგი მუშაკები:

1. დოც. ჭელიძე ლუკა ალექსანდრეს-ძე — ინსტიტუტის დირექტორი.

2. დოც. ჩხარტიშვილი შალვა ნოეს-ძე — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

3. პროფ. როგავა გიორგი ბესარიონის ძე — კათედრის გამგე.

4. დოც. ებრალიძე არჩილ ევგენის-ძე — კათედრის გამგე.

5. დოც. მაისურაძე ნიკოლოზ დომენტის-ძე — კათედრის გამგე.

6. დოც. მეძველია კონსტანტინე ნესტორის-ძე — კათედრის გამგე.

7. დოც. ბიბიჩიძე არსენ აბესალომის-ძე — კათედრის გამგე.

8. დოც. აფრიდონიძე კონსტანტინე გიორგის-ძე კათედრის გამგე.

9. დოც. ხაჟალია გრიგოლ იაკობის-ძე — კათედრის გამგე.

10. დოც. სულავა ვლადიმერ არჩილის-ძე — ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე.

11. დოც. კოკოჩაშვილი გიორგი ვასილის-ძე — კათედრის გამგე.

12. დოც. დევდარიანი გრიგოლ სერგოს-ძე—კათედრის გამგე.

13. მეც. დოქტ. გოცირიძე ალექსანდრე მიხეილის-ძე—კათედრის დოცენტი.

14. დოც. ბრეგაძე დავით დავითის-ძე — ფაკულტეტის დეკანი.

15. დოც. ჩხეიძე გიორგი მიხეილის-ძე.

16. დოც. მარგოლინი დავით ამბაკოს-ძე.

17. დოც. ზარქუა მიხეილ ბაგირის-ძე.

18. დოც. ჯღარკავა იონა ანდრიას-ძე.

19. დოც. ძოწენიძე ქეთევან სამსონის ასული.

20. დოც. ალავიძე მიხეილ ნესტორის-ძე.

21. დოც. სამხარაძე გიორგი აპოლონის-ძე.

22. დოც. ჯაჯანიძე პოლიკარპე პარმენის-ძე.

23. დოც. სანიკიძე ქეთევან ალექსანდრეს ასული.

24. დოც. მახარაძე მიხეილ სამსონის-ძე.

25. დოც. მატარაძე ილია ივანეს-ძე

26. დოც. აბრამიძე შალვა ვიქტორის-ძე.

27. დოც. გაბადაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე.

28. დოც. კორძაძე ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე.

29. დოც. გობეჯიშვილი მიხეილ სერგოს-ძე.

30. დოც. საღინაძე იოსებ ალექსანდრეს-ძე.

31. დოც. კვირიკაძე გური საბას-ძე.

32. დოც. გაბრიაძე დავით მელიტონის-ძე.

33. დოც. მანგალაძე ნინო გიორგის ასული—ფაკულტეტის დეკანი.

34. დოც, გოშხეთელიანი ივანე სპირიდონის-ძე.

35. დოც. ხეცურიანი დავით იასონის-ძე.

36. დოც. კუბლაშვილი იონა ირაკლის-ძე.

37. დოც. ცხაკაია გიორგი გიორგის-ძე.

38. დოც. გულუა პლატონ ზოსიმეს-ძე.

39. დოც. გეწაძე დავით ოქროპირის-ძე.

40. დოც. ბერძული მიხეილ ისიდორეს-ძე.

41. დოც. გოგუაძე არკადი ბათლომეს ძე.

42. დოც. მაჭავარიანი დავით პავლეს-ძე.

43. უფ. მასწ. ქუთათელაძე ალექსანდრა ილიას ასული.

44. „ სვანიძე ქსენია ოლიფანტეს ასული.

45. „ კუბლაშვილი ნინო ნიკოლოზის ასული.

46. „ ხათრიძე იოსებ ანდრიას-ძე.

47. უფ. მასწ. გვილავა სიმონ დავითის-ძე.
48. „ კაციტაძე ეთერი ილიას ასული.
49. „ ლორთქიფანიძე სერგო პოროფილეს-ძე.
50. „ თვალთვაძე ალიმ ალექსანდრეს-ძე.
51. „ დარჩია ლუბა პეტრეს-ასული.
52. „ სუპატაშვილი დავით ლაზარეს-ძე.
53. „ აბდუშელიშვილი ნადია აბესალომის ასული.
54. „ მეგრელიშვილი ფატი ბიჭიას ასული.
55. „ ჯაფარიძე ივლიანე ნიკოლოზის-ძე.
56. „ შალამბერიძე ქეთევან ნესტორის ასული.
57. „ დვალი დავით ანდრიას-ძე.
58. „ წერეთელი ნიკოლოზ გალაქტიონის-ძე.
59, „ კოვზირიძე ალექსანდრე სევასტის ძე.
60. „ რამიშვილი ნიკოლოზ რაფიელის-ძე.
61. „ კორძაძე ნიკოლოზ ვარლამის-ძე.
62. „ ჯაფარიძე პეტრე ეროფიმეს-ძე.
63. „ ირემაძე ვალერიან ანდრიას-ძე—ინსტიტუტის პ/ბიუროს მდივანი.
64. „ ფიჩხაძე რაისა იზრაელის ასული.
65. „ ნიჟარაძე თინა მიხეილის ასული.
66. „ კანდელაკი მელქისედეკ სამსონის-ძე.
67. „ გიორგაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე.
68. მასწ. ჩიქობავა ნიკოლოზ ანდრიას-ძე.
69. „ ჩხაიძე გიორგი სიმონის-ძე.
70. ასისტ. ჩხარტიშვილი ნადია ისაკის ასული.
71. „ იმედაძე შუშანა სამსონის ასული.
72. „ კინწურაშვილი ელენა ვლადიმერის ასული.
73. „ ჭარხალაშვილი კონსტანტინე მიხეილის-ძე—კანცელარიის გამგე.
74. ჯიმშელეიშვილი ნინო სერაპიონის ასული—უფ. ლაბორანტი.
75. ჭანტურია ვერა—უფ. ლაბორანტი.
76. ქუთათელაძე ნადია ილიას ასული—უფ. ლაბორანტი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 358

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 18 აპრილი

შემოწმებით დადასტურდა, რომ ჭიათურის რაიონის სოფ. ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს და საფინანსო დისციპლინის უხეშ დარღვევებს.

დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ა. პ. ბარათაშვილმა ვერ უზრუნველჰყო ბავშვთა მოვლა-პატრონობისათვის ნორმალური პირობების შექმნა, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი საჭირო ხელმძღვანელობა და ეწევა თანხების უკანონო ხარჯვას.

შემოწმების დღეს აღსაზრდელებს ეცვათ მოურგებელი, ძველი და უსუფთაო ტანსაცმელი. აღსაზრდელ ვ. გიორგაძეს, რომელიც თვალის სნეულებითაა დაავადებული, არავითარი მკურნალობა არ უტარდება. მზარეულს არ ჰქონდა არც წინა დღეების და არც იმ დღის მენიუ და ფაქტურა, არ იცოდა სადილად ან ვახშმად რა საჭმელი უნდა დაემზადებინა. საწყობის გამგე ლ. ბრეგვაძეს ხელზე არ აღმოაჩნდა პროდუქტების გასავლის ფაქტურები.

დირექტორმა ა. პ. ბარათაშვილმა და ბუხჰალტერმა ქ. კუპატაძემ ვერ უზრუნველყვეს სკოლა-ინტერნატის სასაწყობო მეურნეობის სწორად დაყენება. მიმდინარე წლის 22 მარტს, ისე შეცვალეს პროდუქტების საწყობის გამგე, რომ მიღება-ჩაბარების აქტი არ დაწერილა.

ანგარიშვალდებულ პირზე თანხების დაწერა და ჩამოწერა არ წარმოებს სწორად. ანგარიშვალდებული პირის არცერთი განცხადება არ არსებობს დირექტორის სახელზე დაწერილი რაიმე დანიშნულებით თანხის სახბანკიდან გამოტანის შესახებ, ბუხჰალტრის მიერ სამნეო ნაწილის გამგეზე თანხები დაწერილია ფულის ჩეკის ყუდების მიხედვით. ფულის ჩეკის ყველა რეკვიზიტი არ არის შევ-

სებული. ანგარიშვალდებულ პირზე ფული გაცემულია წინადმიღებული თანხის დაფარვამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი დარღვევებით არის შესრულებული 1957 წლის ბიუჯეტი. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სხვადასხვა მუხლით გადახარჯულია 28621 მანეთი. გახსნილი კრედიტების მიხედვით გადახარჯულია 19690 მანეთი, ხოლო აუთვისებელია—19700 მანეთი.

დაცული არ არის კვების თანხების ხარჯვის ნორმები. 1957 წლის ცალკე თვეების მიხედვით ადგილი აქვს მეტი ან ნაკლები რაოდენობით თანხების ხარჯვას.

აღსაზრდელებს 1957 წლის განმავლობაში სრულებით არ მიულიათ კაკაო და ნატურალური რძე. ბავშვებს ამავე პერიოდში დააკლდათ: კვერცხი—7707 ცალი, ერბო—1952 კგ. კამფეტი—160 კგ, ნამცხვარი—171 კგ, შაქარი—137 კგ, ხილი—1069 კგ. ბოსტნეული—1797 კგ. კარტოფილი—1984 კგ. და სხვ.

უხეშადაა დარღვეული საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1956 წლის 6 დეკემბრის № 1671 ბრძანებით დადგენილი კვების ნორმები, ასე მაგალითად: 1957 წლის იანვრის თვეში ხშირად დღეში გაცემულია ხორცი—120 გრამიდან 200 გრამამდე, კარაქი 70 გრამი, პური გაცემულია 800 გრამი (ზოგჯერ 1 კილოგრამი), კარტოფილი 600 გრამი. ზოგჯერ კი ზოგიერთი სახის პროდუქტი აღსაზრდელებს ეძლევათ ნორმაზე ნაკლები რაოდენობით. ანალოგიური დარღვევებია სხვა დანარჩენ თვეებში და მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალშიც.

კვება საბავშვო სახლში ერთფეროვანია (მ/წლის 24 იანვრიდან 31 იანვრამდე მენიუ სრულიად ერთფეროვანია). ასეთივე მდგომარეობაა სხვა თვეებშიც.

მენიუზე არ არის გამოანგარიშებული კალორიულობა. პროდუქტების ხარჯვის გასავლის ფაქტურებზე არ არის აღნიშნული კვებაზე აყვანილ აღსაზრდელთა რაოდენობა. 1957 წლის 21 დეკემბრის გასავლის ფაქტურის დედანი დაკარგულია, ხოლო ასლი გადასწორებულია. მენიუსა და გასავლის ფაქტურებს არსად არ ახლავს მორიგეების მიერ შედგენილი აქტები პროდუქტების ქვაბში ჩაშვების თაობაზე.

სკოლა-ინტერნატში აღრიცხვა-ანგარიშგება არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ანგარიშწარმოება არ ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებისა და მითითებების შესაბამისად, საბუხჰალტრო დოკუმენტები არ ფორმდება სწორად.

წლების განმავლობაში კერძო პირებისა და საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისაგან სისტემატურად ნაღდ ანგარიშზე იძენენ სხვადასხვა საქონელს, რითაც დარღვეულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის № 265 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამავე წლის 27 თებერვლის № 144 დადგენილება. გარდა ამისა ადგილი აქვს საქონლის და ღორის ხორცის ნაღდ ანგარიშზე და მაღალ ფასებში შეძენის შემთხვევებს. 1957 წელს ნაღდ ანგარიშზე შეძენილია—488 კილოგრამი საქონლის ხორცი, ხოლო—732 კილოგრამი ღორის ხორცი.

მომწოდებელი ორგანიზაციიდან მიღებულ საქონელზე არ იწერება სათანადო ფაქტურა არტიკულებისა და ნორმების მიხედვით. ზოგიერთი საქონელი აღებულია შემოსავალში საშუალო ფასებით.

ცენტრალურ საწყობიდან გაწერილია ლოგინი და ლოგინის მოწყობილობა, რომლის მიღებაზე ხელს არავინ არ აწერს.

აღსაზრდელებზე გასაცემი რბილი ინვენტარი ეძლევა აღმზრდელებს, მაგრამ არ არის ფიქსირებული, რომელ ბავშვს რა სახის რბილი ინვენტარი მიეცა. არ არის შიმღების ხელისმოწერა. ამ წესით გაცემულია—3696 მანეთის რბილი ინვენტარი.

საწყობის ყოფილ გამგე შ. კაპანაძეს, რომელსაც უმუშავნია შეთავსებით აღმზრდელადაც, მიღებული აქვს საწყობიდან აღსაზრდელებზე გასაცემად 5 წყვილი ტუფლი (წყვილი 207 მანეთად ღირებული). არც სათანადო აქტია შედგენილი, რომ ტუფლები ნამდვილად გაიცა ბავშვებზე და არც ბავშვების ხელწერა არსებობს.

აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი რბილი ინვენტარით, დიდი რაოდენობით აკლიათ საყელოები, ცხვირსახოცები, ზამთრის და ზაფხულის ქუდები, ხელთათმანები, საცვლები, წინდები, ზეწრები და სხვა.

არ არსებობს მინდობილობების აღრიცხვის წიგნი. შემოსავალ-გასავლის ფაქტურები და მენიუ და არ იწერება დადგენილი რაოდენობით, (ზოგიერთი იწერება ერთ ცალად). ფაქტურები არ არის დანომრილი, პროდუქტების და რბილი ინვენტარის აღწერები არ ტარდება დადგენილი ვადების მიხედვით. ბუხჰალტრის მიერ 1957 წ. მიღებული და ჩამოწერილია 1956 წ. ფულადი ანგარიშები და ხელწერილები. ადგილი აქვს ავტომანქანის ნაწილების კერძო პირებიდან ნაღდ ანგარიშზე შეძენის შემთხვევებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორი ალექსანდრა პარმენის-ასული ბარათაშვილი, რომელმაც ... რუნველყო აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობისათვის ნორმალური პირობების შექმნა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, ეწევა თანხების უკანონო ხარჯვას და მატერიალურ ფასეულობათა აღსაზრდელებზე არასწორად გაცემას, მოიხსნას სამუშაოდან.

2. იმის გამო, რომ ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატის ანგარიშწარმოება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, საბუხჰალტრო დოკუმენტები არ ფორმდება დროზე და სწორად, დაშვებულია დიდი საფინანსო დარღვევები, დამხმარე სკოლა-ინტერნატის ბუხჰალტერი ქ. კუპატაძე მოიხსნას სამუშაოდან.

3. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების უფროსმა ამხ. ვ ჩინჩალაძემ კადრების განყოფილებასთან ერთად 3 დღის ვადაში შეარჩიოს და წარმომიდგინოს შესაფერისი კანდიდატი ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანამდებობაზე დასამტკიცებლად.

4. დაევალოს ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექციას:

ა) ზუსტად დაიცვას საფინანსო დისციპლინა, არ დაუშვას თანხების გადახარჯვა ან აუთვისებლობა, უზრუნველყოს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების კვარტალურად ათვისება და დანიშნულებისამებრ მისი გამოყენება;

ბ) აღსაზრდელები უზრუნველყოს დადგენილი ნორმების მიხედვით როგორც კვების პროდუქტებით, ისე რბილი და მაგარი ინვენტარით;

გ) საწყობში რბილი ინვენტარის მიღება და საწყობიდან გაწერა აწარმოოს არტიკულებისა და ნორმების მიხედვით;

დ) სათანადო ყურადღება მიაქციოს საბუხჰალტრო საბუთების გაფორმების საქმეს;

ე) არ დაუშვას ნაღდ ანგარიშზე სამრეწველო საქონლის და სხვა ფასეულობათა შეძენა;

ვ) აეკრძალოს მაღალფასიანი ხორცის და სხვა პროდუქტების კერძო ბაზარზე ყიდვა;

ზ) მტკიცე კონტროლი დააწესოს მატერიალურ ფასეულობათა მიღება-გაცემაზე და დადგენილ ვადებში აწარმოოს როგორც

პროდუქტების, ისე რბილი და სხვა სახის ინვენტარის აღწერა და შედეგების გამოყვანა.

5. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა, და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება 1958 წლის IV კვარტალში და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 11 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 388

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 23 აპრილი

თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ სკოლას ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

ბევრი მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის. საგნის სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, გაკვეთილს ატარებს შინაარსიანად და მიმზიდველად. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—ი. ქოჩიაშვილი (თერჯოლის საშ. სკ.), რ. სახელაშვილი (ჩხარის საშ. სკ.), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—ლ. კობახიძე (ჩხარის საშ. სკ.), ე. ფარაშიანი (თერჯოლის საშ. სკ.), გერმანული ენის მასწავლებლები—რ. ფანჩულიძე და ჟ. ნემსაძე (ჩხარის საშ. სკ.), მათემატიკის მასწავლებელი გ. კალანდაძე (დაბა ორჯონიკიძის მე 2 საშ. სკ.), ფიზიკის მასწავლებლები—შ. მესხი (დაბა ორჯონიკიძის მე-2 საშ. სკ.), მ. ჯაბიძე (თერჯოლის საშ. სკ.), ქიმიის მასწავლებლები—ი. ლომთაძე (ჩხარის საშ. სკ.), ქ. ლომსაძე (დაბა ორჯონიკიძის მე-2 საშ. სკ.), ბიოლოგიის მასწავლებლები—ტ. ლოლაძე (დაბა ორჯონიკიძის მე-2 საშ. სკ.), რ. მამისაშვილი (დაბა ორჯონიკიძის 1-ლი საშ. სკ.).

დაბა ორჯონიკიძის მე-2 საშუალო სკოლის მანქანათმცოდნეობის მასწავლებელი გ. კურტანიძე მთელი შესაძლებლობით იყენებს შეფოორგანიზაციის ავტო-მანქანების გარაჟს მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული მასწავლებლების მიღწევებია. შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ნაწილი ჯერ კიდევ პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობით არ ასრულებს თავის მოვალეობას, არ ცდილობს აიმაღლოს კვალიფიკაცია, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, არ ეხმარება ჩამორჩენილებს; ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია სწავლებაში ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის მავნე პრაქტიკა

დაბალ დონეზეა დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება თერჯოლის საშუალო სკოლაში. X კლასის მოსწავლეებმა (მასწ. მ. კაპანაძე) ლიტერატურის თეორიის საკითხების სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს. V და VII კლასების მოსწავლეებს (მასწ. ა. გვალია) უაზროდ აქვთ გაზეპირებული გრამატიკული წესები, რის გამოც დამოუკიდებლად ვერ არჩევენ წინადადებებს. მასწავლებელი ა. გვალია გრამატიკული მასალის ახსნისას მიმართავს ლექციურ მეთოდს, არ იყენებს თვალსაჩინოებას და მოსწავლეებს არ აბამს მუშაობაში. მასწავლებლები განვლილი მასალის განმეორებასა და მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების გასწორებას სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან.

სუსტად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა თერჯოლის საშუალო სკოლის VIII—XI კლასებში (მასწ. პ. ენუქიძე, დ. ამაშუკელი, ლ. ქარქაშაძე). მოსწავლეებმა არ იციან განვლილი მასალა, ღარიბია მათი ლექსიკური მარაგი, არ ესმით ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა და ფრაზების შინაარსი, ვერ ერკვევიან გრამატიკის ელემენტარულ საკითხებში IX კლასის მოსწავლეებმა ვერ შეძლეს მარტივი ზმნის უღლება. დასახელებული მასწავლებლები ვერ ფლობენ რუსულ ენას, უშვებენ უხეშ შეცდომებს და ვერ ახერხებენ მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას. ყურადღება არ ექცევა განვლილი მასალის თანმიმდევრულად განმეორებას და განმტკიცებას. ძალზე დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. მასწავლებლები მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს არ ასწორებენ და არ იცავენ კარნახით წერის დადგენილ ნორმებს. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ამავე სკოლის III კლასში. მასწავლებელი ე. გეწაძე არ არის დაუფლებული რუსულ ენას და მისი სწავლების მეთოდებს.

შემოწმებისას ჩხარის საშუალო სკოლის მასწ. გ. შოთაძემ შთაბეჭდილების მოსახდენად VI კლასში უკვე შესწავლილი მასალა ახალ მასალად ახსნა.

სუსტია მოსწავლეთა მომზადების დონე გერმანულ ენაში თერჯოლის საშუალო სკოლის IX—XI კლასებში (მასწ. ც. არეშიძე, ნ. პატარიძე). მოსწავლეებს უჭირთ ტექსტის კითხვა, ალბა, აჩნიათ სიტყვათა მარაგი. მოსწავლეთა მომზადების მეტად დაბალი დონე გამოწვეულია მასწ. თ. მეგრელიშვილის სუსტი მუშაობით, რომელიც წინა წლებში ასწავლიდა ამ კლასებს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება თერჯოლის (მასწ. ი. მაკარიძე, შ. აბაშიძე), ჩხარის (მასწ. ნ. გრძელიძე), დაბა ორჯონიკიძის 1-ლი (მასწ ო. ხაჭაპურიძე) საშუალო სკოლების VIII—X კლასებში. ალგებრაში მოსწავლეებს არ შესწევთ დამოუკიდებლად მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის უნარი; არა აქვთ სწორი წარმოდგენა ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე და სხვ. აღნიშნული მასწავლებლები არ ცდილობენ დანერგონ მოსწავლეებში ზეპირი ანგარიშის ჩვევები, გეომეტრიას თვალსაჩინოების გარეშე ასწავლიან, ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე და ტრიგონომეტრიული იგივეობის დამტკიცებაზე, მოსწავლეებს არ აბამენ მუშაობაში და მოსწავლეთა ცოდნას ლიბერალურად აფასებენ.

სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული ფიზიკის სწავლება ჩხარის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწ. გ. ბეჟუაშვილი). მოსწავლეებმა არ იციან განვლილი მასალა. მათ ვერ შეძლეს მუდმივი ტემპერატურის დროს წნევასა და მოცულობას შორის დამოკიდებულების გრაფიკული გამოსახვა. მოსწავლეებს იშვიათად ეძლევა საშინაო წერითი დავალება. მასწავლებლები არ ატარებენ სადემონსტრაციო ცდებსა და საწარმოო ხასიათის სასწავლო ექსკურსიებს. შესწავლილი სკოლების ფიზიკის კაბინეტებთან არ არის შექმნილი ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა; არა აქვთ დამხმარე ხელსაწყოები და საჭირო მასალა.

თერჯოლის, ჩხარისა და დაბა ორჯონიკიძის 1-ლ საშუალო სკოლებში ელექტროტექნიკისა და მანქანათმცოდნეობის სწავლებისათვის მინიმალური პირობები არ არის შექმნილი. აღნიშნულ სკოლებს არა აქვთ ელექტრო-დინამიკური და სითბური სისტემის საზომი ხელსაწყოები, ავტომანქანის ნაწილები, ტაბულები და დამხმარე მასალები. პოლიტექნიკური საგნების სწავლებას არა აქვს პრაქტიკუმის სახე. თერჯოლის საშუალო სკოლის მანქანათმცოდნეობის მასწავლებელი ბ. ნაფეტვარიძე ავტომანქანას თვალსაჩინოების გარეშე, ლექციური მეთოდით ასწავლის, რის გამოც მოსწავლეებმა არ იციან ავტომანქანის ცალკეული მექანიზმები. ამავე

სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწ. გ. აბულაძე) ელექტროტექნიკაში არ იციან მუდმივი ელექტროდენის მანქანების მუშაობის პრინციპი, ელექტროდინამიკური და სითბური სისტემის ხელსაწყოების გამოყენება. დაბა ორჯონიკიძის I-ლ საშუალო სკოლაში სახელოსნოს უქონლობის გამო მანქანათმცოდნეობის სწავლებისათვის განკუთვნილი საათები ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმს ხმარდება.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ქიმიის სწავლება თერჯოლის საშუალო სკოლის IX—XI კლასებში (მასწ. შ. მაკარიძე, გ. ცხადაძე). საგნის სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა მეტად ღარიბია, მოუწყობელია კაბინეტი, ქიმია სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის გარეშე ისწავლება. მასწავლებლები არ ემზადებიან გაკვეთილისათვის, მოსწავლეებს არ ავალჯიშებენ ამოცანების ამოხსნაზე და თანმიმდევრულად არ აწარმოებენ განვლილი მასალის განმეორებას. X კლასის მოსწავლეებმა არ იციან მანგანუმ ორჟანგის გამოყენება, როგორც დეპოლარიზატორის, არ ესმით მისი ქიმიური მნიშვნელობა ლეკლანშეს ელემენტში. მასწ. შ. მაკარიძემ არაზუსტად განმარტა კატალიზატორის ცნება.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება თერჯოლის საშუალო სკოლის VI კლასში (მასწ. ლ. ნემსაძე). მოსწავლეებმა სუსტად იციან კომბოსტოსა და კართოფილის აგებულება, კომბოსტოს სათესლეების გამოყვანა და წარმოდგენა არა აქვთ კართოფილის ტუბერების იაროვიზაციაზე. მასწ. ლ. ნემსაძე გაკვეთილისათვის არ ემზადება და ახსნისას უშვებს ფაქტობრივ შეცდომებს. განვლილი მასალის ზერელე და არამტკიცე ცოდნა გამოამჟღავნეს ჩხარის საშუალო სკოლის VI—VIII კლასების მოსწავლეებმა (მასწ. თ. რიჟამაძე). ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამავე სკოლის IX კლასში (მასწ. ა. სიმონგულოვი). თერჯოლისა და ჩხარის საშუალო სკოლების ბიოლოგიის კაბინეტები ღარიბია თვალსაჩინოების მასალებით. მასწავლებლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა მიერ მარტივი სასწავლო ხელსაწყოების დამზადების საქმეს.

სრულ უმოქმედობას იჩენენ ქართული ენისა და ლიტერატურის და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიები თერჯოლის საშუალო სკოლაში. ამავე სკოლისა და დაბა ორჯონიკიძის I-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა საგნობრივი კომისიები ხელს არ უწყობენ საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეს. ანა-

ლოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ბიოლოგიის მასწავლებელთა საგნობრივ მეთოდურ კომისიებში თერჯოლისა და ჩხარის საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტექნიკური საგნების მასწავლებლები გაერთიანებული არიან ფიზიკის მასწავლებელთა საგნობრივ მეთოდურ კომისიებში. მათი სამუშაო გეგმების მიხედვით პოლიტექნიკური საგნების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების ღონისძიებანი მხოლოდ ღია გაკვეთილების გადაცემით განისაზღვრება.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სწავლების კანონის გატარების საქმეს. ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს (თერჯოლის საშუალო სკოლიდან განთესილია 7 მოსწავლე, ჩხარის საშუალო სკოლიდან—4).

ნაკლოვანებებით ხასიათდება თერჯოლისა და ორჯონიკიძის I-ლი საშუალო სკოლების წლიური სამუშაო გეგმები. ზოგიერთი საკითხი მეტად არაკონკრეტულია. გეგმებში გათვალისწინებული არ არის მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. დაბა ორჯონიკიძის პირველ საშუალო სკოლას არა აქვს პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა, ოქმები შედგენილია უწიგნურად და მოუფიქრებლად. ანალოგიური მდგომარეობაა თერჯოლის საშუალო სკოლაში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეს. მიმდინარე შეფასების ნიშნები ყოველთვის არ შეაქვთ ჟურნალში. ცუდად მუშაობენ მშობელთა კომიტეტები შესწავლილ სკოლებში.

მოუგვარებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები.

არადამამაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა წრეობრივი მუშაობა. ნორჩ ნატურალისტთა წრეების არსებობა სკოლებში ფორმალურ ხასიათს ატარებს; პრაქტიკული მუშაობა არ წარმოებს, წრის წევრები არ აზზადებენ მარტივი სახის ხელსაწყოიარაღებს.

სათანადო სიმაღლეზე არა დგას მასწავლებელთა მუშაობისადმი შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი. დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზოგადია.

სათანადო სიმაღლეზე არა დგას დისციპლინა მოსწავლეთა შორის. მოსწავლეთა ნაწილი ხშირად არასაპატიო მიზეზით აცდენს გაკვეთილებს, რაც იწვევს მათ აკადემიურად ჩამორჩენას. მეორე მეოთხედში ჩხარის საშუალო სკოლაში გაცდენილია 4021,

თერჯოლის საშუალო სკოლაში — 3716, დაბა ორჯონიკიძის 1-ლ საშუალო სკოლაში — 959 გაკვეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერჯოლისა და დაბა ორჯონიკიძის I საშუალო სკოლებში ბიბლიოთეკა ციპლინის უფრო უხეშად დარღვევის შემთხვევებსაც აქვს ადგილი. თერჯოლის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა ჯ. ქ-მა და ი. ქ-მა ფიზიკის კაბინეტი გატეხეს და სხვადასხვა ნივთები გაიტაცეს. ამავე სკოლის მოსწავლეები ჯ. ა-ძე და გ. ლ. შემჩნეული არიან აზარტულ თამაშში.

ცალკეული საგნების მასწავლებლები მთელი შეგნებით არ ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას და არ ატარებენ სათანადო მუშაობას სწავლების მაღალ დონეზე დაყენების უზრუნველსაყოფად. თერჯოლის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს კ. ქოჩიაშვილს, ე. ვარდოსანიძეს მათემატიკის მასწავლებლებს ვ. დიაკონიძეს, მ. თურქაევს, ფიზიკის მასწავლებლებს შ. აბაშიძეს, ბ. თორთლაძეს, ა. დოლაკიძეს, ისტორიის მასწავლებელს კ. ჯაფარიძეს, გეოგრაფიის მასწავლებელს მ. ქოჩიაშვილს, ჩხარის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. ყურულოვს, მათემატიკის მასწავლებელს გ. ფანჩულიძეს, გეოგრაფიის მასწავლებლებს ს. ქემოკლიძეს, მ. ბელელაძეს პირველ მეოთხედში მეტად დაბალი მოსწრება ჰქონდათ იმ კლასებში, რომლებშიაც ისინი ასწავლიან. იმის ნაცვლად, რომ აქედან მათ სათანადო დასკვნები გაეკეთებინათ, მეორე მეოთხედში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა: აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა მათ კლასებში 30 — 50 პროცენტამდე გაიზარდა.

შესწავლილმა სკოლებმა დაბალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრეს მეორე მეოთხედი. თერჯოლის საშუალო სკოლის 367 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 294 მოსწავლე; I კლასის 54 მოსწავლიდან — 10, V კლასის 62 მოსწავლიდან — 26, VIII კლასის 102 მოსწავლიდან — 45, IX კლასის 151 მოსწავლიდან — 71; ჩხარის საშულო სკოლის 652 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 198, ამათგან VI კლასის 43 მოსწავლიდან — 20, VIII კლასის 55 მოსწავლიდან 25, XI კლასის 79 მოსწავლიდან — 28. ამ სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სასწავლო მეოთხედების შედეგების განხილვისას ღრმა ანალიზი არ გაუკეთებიათ არსებული მძიმე მდგომარეობისათვის და მუშაობის არსებითად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად არ დაუსახავთ ქმედითი ღონისძიებები.

ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილება საჭირო ყურადღებით არ ეკიდება სამუშაო გეგმის შედგენისა და შესრუ-

ლების საქმეს. 1957 წლის მეოთხე კვარტალში განყოფილებას გეგმით უნდა შეესწავლა სამი საშუალო, სამი შვიდწლიანი და ექვსი დაწყებითი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. ფაქტიურად კი შეისწავლა ოთხი დაწყებითი, სამი შვიდწლიანი და ერთი საშუალო სკოლა და თანაც არა ის სკოლები, რომელთაც გეგმა ითვალისწინებდა. ზოგიერთი შესწავლილი სკოლის გამოკვლევის მასალები გაუფორმებელია და სკოლებამდე არაა დაყვანილი. ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებული სახალხო განათლების საბჭოს სამუშაო გეგმა ზოგადია. საბჭოს სხდომები არ ტარდება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა (ამხ. ამხ. გ. კიკნაძე, შ. ჩხიკვაძე);

ა) სკოლების შემოწმებისას სათანადო ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესწავლას;

ბ) ყურადღების ცენტრში იყოლიონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლები, განახორციელონ სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა მათ მუშაობაზე;

გ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე მოისმინონ სკოლების დირექტორების მოხსენებანი საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელებისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ, საკითხის წინასწარ საფუძვლიანად შესწავლით და საჭირო ღონისძიებების დასახვით;

დ) შეამოწმონ შვიდწლიან და საშუალო სკოლებში კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დროულად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ე) აღრიცხონ სკოლებში ისეთი მასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიურ დახელოვნებას საჭიროებენ და უზრუნველყონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საკურსო ღონისძიებაში მათი ჩაბმა;

ვ) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განხილვა რაიონის სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) ქმედითი დახმარება გაუწიონ სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს და უზრუნველყონ მათი მომზადების დონის ამაღლე-

ბა; ყურადღების ცენტრში იყოლიონ ის კლასები და საგნები, რომლებშიც განსაკუთრებით დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე; საგრძნობი ღონისძიებათა განხორციელებით მიიღწიონ არსებით გარდატეხას სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში;

ბ) აღკვეთონ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმების შედგენისადმი ზერელე და ფორმალური დამოკიდებულება;

გ) შეისწავლონ სკოლასჩამოშორებული სასკოლო ასაკის ბავშვების მდგომარეობა და უზრუნველყონ სწავლებაში მათი ჩაბმა;

დ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები, მიაღწიონ მათი პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ე) სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა პირადი საქმეები;

ვ) დააწესონ მტკიცე კონტროლი კლასის ხელმძღვანელების მუშაობაზე, რათა აღკვეთილი იქნეს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა და დაგვიანება.

3. აღინიშნოს, რომ ბრძანებაში დასახელებულ უდისციპლინო მოსწავლეთა მიმართ ადგილზე გატარებულია სათანადო ღონისძიებანი.

4. მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონისათვის მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—მ კაპანაძეს, კ. ქოჩიაშვილს, ვ. ვარდოსანიძეს (თერჯოლის საშ. სკ.), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს—ლ. ყურულოვს (ჩხარის საშ. სკ.), მათემატიკის მასწავლებლებს—ი. მაკარიძეს, ვ. დიაკონიძეს, მ. თურქაძეს (თერჯოლის საშ. სკ.), ნ. გრძელიძეს, გ. ფანჩულიძეს (ჩხარის საშ. სკ.), ფიზიკის მასწავლებლებს შ. აბაშიძეს, ბ. თორთლაძეს, ა. დოლაკიძეს (თერჯოლის საშ. სკ.), გ ბეჟუაშვილს (ჩხარის საშ. სკ.), ქიმიის მასწავლებელს—შ მაკარიძეს (თერჯოლის საშ. სკ.), ბიოლოგიის მასწავლებელს—ლ. ნემსაძეს (თერჯოლის საშ. სკ.), ისტორიის მასწავლებელს—კ. ჯაფარიძეს (თერჯოლის საშ. სკ.), გეოგრაფიის მასწავლებლებს—მ. ქოჩიაშვილს (თერჯოლის საშ. სკ.), ს. ქემოკლიძეს, მ. ბეღელაძეს (ჩხარის საშ. სკ.).

5. საგნის სწავლების ცუდად დაყენებისათვის, მოუმზადებელი და გაუმართავი გაკვეთილების გადაცემისათვის, რის შედეგადაც მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი საპროგრამო მასალის უცო-

დინარობას ამჟღავნებს, გამოეცხადოთ საყვედური: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ა. გვალიას, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—პ. ენუქიძეს, დ. ამაშუკელს, ლ. ქარქაშაძეს (თერჯოლის საშ. სკ.).

6. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ დაბა ორჯონიკიძის I საშუალო სკოლის დირექტორს გ. ჭიპაშვილს და თერჯოლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ი. ქოჩიაშვილს.

7. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური თერჯოლის საშუალო სკოლის დირექტორს ა. შეყრილაძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს გ. ცხადაძეს.

8. აღინიშნოს, რომ ჩხარის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ გ. შოთაძეს ადგილზე უკვე დაედო სასჯელი.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 8 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მ ო ა დ გ ი ლ ე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 389

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 23 აპრილი

ზესტაფონის რაიონის საზანოს საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა საზანოს საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ძალზე სუსტია სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა. სკოლას არა აქვს არცერთი სასწავლო კაბინეტი. ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილი ერთი პატარა ოთახი ფაქტიურად ხელსაწყო-იარაღების საწყობს წარმოადგენს და იქ არავითარი სადემონსტრაციო ან ლაბორატორიული მუშაობის ჩატარება არ შეიძლება. შეუფერებელ და პატარა ოთახშია მოთავსებული სასკოლო ბიბლიოთეკა. სათანადოდ არ არის მოწყობილი სასწავლო სახელოსნო და იქ არ ტარდება სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობა. სასწავლო ნაკვეთის დიდი ნაწილი შეუღობავი და მოუვლელია.

სასწავლო კაბინეტებისა და საჭირო დიდაქტიკური მასალების უქონლობის გამო სწავლებას ზეპირსიტყვიერი ხასიათი აქვს. არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები. დაბალია მთელი რიგი სასწავლო დისციპლინების სწავლების დონე. სუსტად მუშაობენ: და მოსწავლეებს მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას ვერ აძლევენ; ქართულ ენაში— თ. ეჯიბაძე, ელ. ბარაბაძე, თ. მიქაბერიძე, ქ. ღიბრაძე; რუსულ ენაში—გ. ჭანტურიძე, ვ. ჭიჭინაძე; მათემატიკაში—თ. კვეტენაძე, კ. შაქარიშვილი; ისტორიაში—რ. შერგელაშვილი, ალ. არაბიძე; ქიმიაში—დ. ფალავანდიშვილი, თ. კობახიძე. ეს მასწავლებლები მეტად დაბალ მეთოდურ და მეცნიერულ დონეზე ატარებენ გა-

კვეთილებს. სწავლების დაბალი ხარისხის გამო არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე. 580 შეფასებული მოსწავლიდან მესამე მეოთხედის ბოლოს ერთსა და მეტ საგანში [illegible] ასწრებდა 131 მოსწავლე (22,6%). მოსწავლეთა მოსწრება ძნიშნელოვნად დაბალია VIII (ვერ ასწრებს 30%), IX (25%), X (26,3%) და XI (25%) კლასებში.

ყურადღება არ ექცევა განათლების სამინისტროს 1956 წლის 14 აპრილის ცირკულარული წერილის ცხოვრებაში გატარებას დასვენებისა და უქმეების წინა დღეს, ორშაბათობითა და უქმეების შემდეგ დღეს მეცადინეობის ხასიათის შესახებ. დარღვეულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1952 წლის 26 ივნისის ბრძანება მოსწავლეთა გადატვირთვის აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ VII, VIII, და XI კლასებში ცხრილით ზოგჯერ ერთ დღეს ორი საკონტროლო წერის ჩატარებაა გათვალისწინებული.

სკოლას არა აქვს შედგენილი სასწავლო ექსკურსიების ჩატარების გეგმა.

სუსტად დგას სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობა. სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ვერ ახორციელებენ ერთიან და პედაგოგიურად მოფიქრებულ ღონისძიებებს მოსწავლეთა ქცევის მოსაწესრიგებლად, მათში საბჭოთა მოქალაქისათვის დამახასიათებელი მაღალი თვისებების აღსაზრდელად. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, სკოლის დირექცია უკანასკნელ ხანამდე არ ახორციელებდა სისტემატურ და თანმიმდევრულ ღონისძიებებს დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა მიმართ და მუშაობას არ ატარებდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 2 მარტის ბრძანების შესაბამისად. კლასის ხელმძღვანელები არ სწავლობენ სისტემატურად მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობებს, მოსწავლეების ბიერ გაკვეთილების გაცდენისა და გაკვეთილებზე დაგვიანებით გამოცხადების მიზეზებს. მათი სამუშაო გეგმები ზოგადია, არ ჩანს ცალკეული კლასის სახე და მუშაობის თავისებურებანი. აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა დისციპლინის საკითხი ბოლო დრომდე არ გამხდარა პედაგოგიური კოლექტივის მსჯელობის საგნად.

მოსწავლეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში სათანადოდ არ არის გამოყენებული კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციები, მშობელთა კომიტეტი.

სუსტია კომკავშირის, პიონერთა და მოსწავლეთა ორგანიზაციების მუშაობა სკოლაში. ისინი სკოლის დირექციას ვერ ეხმარე-

ბიან მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლით აიხსნება მოსწავლეების ზ. კვანტიძისა და ა. შარაშიძის მიერ სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელის ნ. თუთბერიძის გაუპატიურების ფაქტი, რაც ა/წ. 16 იანვარს მოხდა.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სკოლაში კლასგარეშე მუშაობა. ლიტერატურული კითხვისა და რუსული ენის შემსწავლელი წრეები სკოლაში ფაქტიურად არ არსებობენ. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის განხილული მეორეწლიანობისა და სწავლაში ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის საკითხები.

საგნობრივი მეთოდური კომისიების მუშაობა არ არის იმგვარად გაშლილი, რომ ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მასწავლებელთა პროფესიულ დახელოვნებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას.

სუსტად მუშაობს მშობელთა კომიტეტი. კომიტეტთან არ არის ჩამოყალიბებული მუდმივმოქმედი კომისიები. სუსტია სკოლის კავშირი მშობლებთან.

სკოლის დირექტორი გ. კობახიძე და სასწავლო ნაწილის გამგე გ. გოგბერაშვილი მაღალი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან მასწავლებელთა ყოველდღიური მუშაობისა და მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორმა გ. კობახიძემ და სასწავლო ნაწილის გამგემ გ. გოგბერაშვილმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობისადმი, სისტემატურად დაესწრონ მათ გაკვეთილებზე; პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და საწარმოო თათბირებზე განიხილონ სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის, მეორეწლიანობისა და მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის საკითხები, დასახონ ღონისძიებები სწავლების ხარისხის მკვეთრად გასაუმჯობესებლად და მოსწავლეთა ცოდნის ასამაღლებლად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიონ ამ ბრძანებაში აღნიშნული მასწავლებლები და იმ შემთხვევაში, თუ ისინი

ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლების არსებითად გაუმჯობესებას და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებას, დააყენონ სადავო კითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სწავლებაში თვალსაჩინოებისა და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის ფართოდ გამოყენების მიზნით უზრუნველჰყონ სკოლა საჭირო დიდაქტიკური მასალებით; მოაწყონ ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კლასკაბინეტები და შეავსონ ისინი საჭირო სასწავლო მოწყობილობითა და ხელსაწყოებით; სათანადოდ მოაწყონ სასწავლო სახელოსნო და უზრუნველჰყონ ახალი სასწავლო წლიდან მასში ნორმალური სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის ჩატარება;

დ) სასწავლო წლის დამთავრებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ გავლილი მასალის თანმიმდევრული განმეორებისა და მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცების უზრუნველსაყოფად, სასწავლო წლის ორგანიზებულად და წარმატებით დასამთავრებლად;

ე) გააძლიერონ მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის და მიაღწიონ არსებით გარდატეხას მოსწავლეთა ქცევის ორგანიზების საქმეში. შეიმუშაონ და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილონ პედაგოგიურად მოფიქრებული ღონისძიებანი აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად; გააძლიერონ კლასის ხელმძღვანელების მუშაობა, თანმიმდევრულად გაატარონ მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებანი და მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 2 მარტის № 195 ბრძანებით;

ვ) არსებითად გააუმჯობესონ მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარება, იმგვარად წარმართონ საგნობრივი-მეთოდური კომისიების მუშაობა, რომ ისინი ხელს უწყობდნენ ახალგაზრდა მასწავლებელთა პროფესიულ დახელოვნებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას;

ზ) განათლების სამინისტროს 1956 წლის 14 აპრილის ცირკულარული წერილის შესაბამისად მოაწესრიგონ მეცადინეობა ორშაბათობითა და უქმეების შემდეგ დღეს;

თ) არსებითად უხელმძღვანელონ სასკოლო კომკავშირული და პიონერთა ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა კომიტეტის მუშაობას და მიაღწიონ იმას, რომ ეს ორგანიზაციები სკოლის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს ეფექტურად ეხმარებოდნენ

მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში;

ი) განამტკიცონ მშობლებთან კავშირი, გააძლიერონ მშობელთა კომიტეტის მუშაობა, ფართოდ ჩაებან მშობლები მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისა და სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების საქმეში.

2. განათლების განყოფილების გამგემ (მ. სარალიძე):

ა) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი საზანოს საშუალო სკოლის მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

ბ) სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლოს საზანოს საშუალო სკოლის მუშაობა და არსებული წესის დაცვით დააყენოს საკითხი იმ მასწავლებელთა განთავისუფლებისა ან ჩამოყენების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას.

3. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისა და მოსწავლეთა დაბალი ცოდნის გამო მასწავლებლები: თ. ეჯიბაძე, ელ. ბარაბაძე, თ. მიქაბერიძე, ქ. ღიბრაძე, თ. კვეტენაძე, რ. შერგელაშვილი, ალ. არაბიძე, მ. ჭანტურიძე, ვ. ჭიჭინაძე, კ. შაქარიშვილი, დ. ფალავანდიშვილი, თ. კობახიძე გაფრთხილებულ იქნან, რომ, თუ ისინი თავისთავზე სისტემატური მუშაობითა და გაკვეთილისათვის გულდასმით მზადებით არ უზრუნველყოფენ საგნის სწავლების ხარისხის და მოსწავლეთა ცოდნის დონის არსებითად ამაღლებას, ახალი სასწავლო წლიდან განთავისუფლებული იქნებიან სამუშაოდან.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომმა განიხილა საკითხი საზანოს საშუალო სკოლაში მომხდარი ფაქტის შესახებ, ხოლო განათლების განყოფილებამ სკოლის დირექტორს გ. კობახიძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს გ. გოგბერაშვილს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის დაადო ადმინისტრაციული სასჯელი.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ უფროსი პიონერ ხელმძღვანელი ნ. თუთბერიძე გადაყვანილია სხვა სამუშაოზე, ხოლო ზ. კვანტიძე და ა. შარაბიძე გაირიცხენ სკოლიდან და ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულნი არიან.

6. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ სკოლების სამმართველოს ინსპექტორების მონაკვლევი მასალა გაეგზავნოს სკოლას. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეს

ამხ. მ. სარალიძეს მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანებასთან ერთად განიხილოს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საჭირო ღონისძიებათა დასასახავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 18 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 392

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 23 აპრილი

XII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების შესახებ

XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია, რომელიც მიმდინარე წლის 25—28 მარტის რიცხვებში ჩატარდა, წინა წლების კონფერენციებისაგან გამოირჩეოდა თავისი თემატიკური აქტუალობითა და ორგანიზებულობით. აღსანიშნავია, რომ XII კონფერენცია ძირითადად შრომითი-პოლიტექნიკური სწავლების საკითხების განხილვას მიეძღვნა. კონფერენციაზე წაკითხული 177 მოხსენებიდან 60 მოხსენება აშუქებდა შრომითი აღზრდისა და პოლიტექნიკური სწავლების თეორიისა და პრაქტიკის სადღეისო საკითხებს. მოხსენებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა კომუნისტური ზნეობის აღზრდის, სწავლების თეორიის, სკოლათმცოდნეობის, სკოლამდე აღზრდის, დაწყებით სკოლაში მუშაობის ცალკეულ სასწავლო დისციპლინათა სწავლების მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევას.

XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მუშაობა კიდევ უფრო საყურადღებო გახდა იმით, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ტაჯიკეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ განათლების დარგისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან მოწვეულ მასწავლებლებსა და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების მუშაკებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ქალ. თბილისის მასწავლებლები, სკოლის დირექტორები და განათლების განყოფილებათა თანამშრომლები.

XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის ინსტიტუტმა 300-მდე მოხსენება მიიღო 45 განათლების განყოფილებიდან. გარდა ამისა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და ქართული ენის კათედრის წევრები, თბილისის პუშკინის სახელობისა და უცხო ენების, გორის, სტალინირისა და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკები.

სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის არც ერთი მოხსენება არ ყოფილა წარმოდგენილი ხაშურის, კასპის, მაიაკოვსკის, ყაზბეგის, მესტიის რაიონების განათლების განყოფილებებიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ რაიონების განათლების განყოფილების გამგეები შეუფასებლობას იჩენენ ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებისადმი.

XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც. წარმოდგენილ მოხსენებათა მნიშვნელოვან ნაწილში ჭარბობს აღწერა, ნაკლებადაა მოცემული ფაქტების ანალიზი და თეორიული განზოგადება. ზოგიერთი სექციის, (პედაგოგიკის, სკოლამდელი აღზრდის, ქართული ენისა და ლიტერატურის) დღის წესრიგი გადატვირთული იყო, რაც თავის გავლენას ახდენდა წაკითხული მოხსენებების ყოველმხრივ განხილვაზე.

მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და XIII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მაღალხარისხოვნად მომზადებისა და ჩატარებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა 1959 წლის იანვრის არდადეგების პერიოდში ჩაატარონ „პედაგოგიური კითხვა“, მარტის არდადეგების დროს კი პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა თბილისში ჩაატაროს მორიგი XIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ა. ო., ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა აქედანვე გაატარონ სათანადო ღონისძიებანი „პედაგოგიკურ კითხვაში მასწავლებელთა ფართოდ ჩაბმისათვის.

3. დაევალოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორებს სისტემატური დახმარება გაუწიონ „პედაგოგიურ კითხვაში“ ჩაბმულ მასწავლებლებს და თავის მხრივ სამეცნიერო კონფერენციაზე განსახილველად წარადგინონ პედაგოგიკასა და მეთოდიკებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული საუკეთესო ნაშრომები.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა:

ა) ამჟამად სკოლისა და სახალხო განათლების წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად გადაამუშაოს „პედაგოგიური კითხვის“ სანიმუშო თემატიკა და ა. წ. 1 სექტემბრამდე დაიყვანოს რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებამდე.

ბ) გაუწიოს სათანადო დახმარება ადგილებს „პედაგოგიური კითხვის“ ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებაში და ამ მიზნით სისტემატურად მიავლინოს ადგილებზე მეცნიერ მუშაკები.

გ) წელსვე მოამზადოს გამოსაცემად XII სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წაკითხული და დასაბეჭდად მოწონებული მოხსენებები და გამოსცეს იგი მომავალი წლისათვის.

დ) ა. წ. 30 ივნისამდე მისცეს წერილობითი დასკვნები და რეცენზიები მოხსენებებს, რომლებიც კონფერენციის დღიურ წესრიგში არ ყოფილა შეტანილი და გადაუგზავნოს იგი ავტორებს.

ე) მომავალ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე ცალკე გამოყოს სკოლა-ინტერნატების სექცია და გაატაროს ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების მუშაობის გამოცდილების განზოგადებისათვის.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა გამოაქვეყნონ კონფერენციაზე გამოტანილი საუკეთესო მოხსენებები განსაკუთრებით, შრომითი—პოლიტექნიკური სწავლების დარგში, და ფართოდ გააშუქონ მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

6. XII სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის

ა) დაჯილდოვებული იქნან განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელით;

პედაგოგიკის სექციიდან

1. თუთბერიძე რუბენ ივანეს-ძე (ზესტაფონის რაიონის სოფ. ფუთის 7-წლიანი სკოლის დირექტორი),

2. ნადირაძე ქეთევან თეოფანეს ასული (ქუთაისის 21-ე საშ. სკოლის დირექტორი).

3. არქანია ილარიონ კონსტანტინეს-ძე (გუდაუთის 1-ლი საშ. სკოლის დირექტორი).

4. ხინთიბიძე მიტო კალისტრატეს-ძე (ბათუმის მე-14 საშ. სკოლის მასწავლებელი).

5. კაზარიანი ვაგან დავითის-ძე (ერევნის მე-12 საშ. სკოლის დირექტორი).

6. ვასილიევა მარიამ ვასილის ასული (ტყვარჩელის მე-2 საშ. სკოლის მასწავლებელი).

7. მელიძე ივერი ონისიმეს-ძე (ხულოს რაიონის პედაგოგიური კაბინეტის გამგე).

შრომითი-პოლიტექნიკური სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. დემიანოვა ვერა დიმიტრის ასული (თბილისის მე-4 საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. ბაქრაძე ვასილ იოსების-ძე (თელავის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი).

3. ნიკოლაევი ედუარდ საბას-ძე (ახალციხის რაიონის ვალეს მე-2 საშ. სკოლის მასწავლებელი).

4. გელაშვილი მავრა თადეოზის ასული (თბილისის 102-ე შვიდწლიანი სკოლის დირექტორი).

5. ბოიაჯიანი ამალია იაკობის ასული (თბილისის 78-ე საშ. სკოლის მასწავლებელი).

სკოლამდელი აღზრდის სექციიდან

1. კინწურაშვილი ლუდმილა ერასტის ასული (ქუთაისის მე-10 საბავშვო ბაღის აღმზრდელი).

2. ლეჟავა მელიტან გედეონის ასული (თბილისის № 8 საბავშვო ბაღის აღმზრდელი).

3. გურგენიძე ნადია ალექსის ასული (თბილისის № 14 საბავშვო ბაღის აღმზრდელი).

4. ლ ო ლ ა ძ ე თამილა მაკარის ასული (ზესტაფონის № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელი).

5. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ელენე მაქსიმეს ასული (ბათუმის № 10 საბავშვო ბაღის აღმზრდელი).

6. კ რ ი ნ ი ც კ ა ი ა სოფიო გრიგოლის ასული (სოხუმის № 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა სექციიდან

1. გ უ ჯ ა ბ ი ძ ე ქეთევან არსენის ასული (ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი)

2. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ტასო სიკოს ასული (სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევის საშ. სკოლის მასწავლებელი).

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. გ ა დ ი ლ ი ა აბესალომ იულონის-ძე (სოხუმის რაიონის სოფ. შრომის საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე პეტრე გრიგოლის ძე (თბილისის რკინიგზის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი),

3. ა რ ვ ე ლ ა ძ ე რაისა ნიკანდრის ასული (სამტრედიის რაიონის სოფ. ჭაგნის 7 წლიანი სკოლის მასწავლებელი).

4. მ უ შ კ უ დ ი ა ნ ი ვალერიან ილარიონისძე (თბილისის საქალაქო განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგე).

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ვალენტინა სისოს ასული (თბილისის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი).

უცხო ენების სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ბეჟან ვასილის ძე (სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი).

2. დ ო ლ ი ძ ე ჯუმბერ ვლადიმერის-ძე (ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოითის საშ. სკოლის მასწავლებელი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორიის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. გოგატიშვილი მიხეილ დავითის-ძე (საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. დადიანი ნათელა მიხეილის ასული (სოხუმის რაიონის კელასურის საშ. სკოლის მასწავლებელი).

3. ცაკაშვილი მიხეილ ილიას-ძე (თელავის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი).

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. მენაბდე ვალერიან დავითის-ძე (თბილისის 23-ე საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. ფარჯანაძე ალექსანდრე გიორგის-ძე (თბილისის მე-18 საშ. სკოლის მასწავლებელი).

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. მჭედლიშვილი ალექსანდრე ილიას-ძე სიღნაღის საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. ალხაზოვა ნინო ალექსანდრეს ასული (თბილისის 36-ე საშ. სკოლის მასწავლებელი).

3. ბარამიძე პორფილე გიორგის-ძე (ფოთის მე-2 საშ. სკოლის მასწავლებელი).

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ოვჩარენკო მარიამ გრიგოლის ასული (თელავის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. წვერავა თინა ივანეს ასული (ამბროლაურის რაიონის სოფ. ხიდიკრის 7 წლიანი სკოლის მასწავლებელი).

3. სალახოვი აზიზ აბდულის ძე (აზერბაიჯანის სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სექტორის გამგე).

ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. კოსტავა იაკობ ივანეს ძე (თბილისის 66-ე საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. ჭულუხაძე შალვა ალექსანდრეს-ძე (ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი).

2. დრაგანოვას მარინა ივანეს ასულს (თბილისის 23-ე საშ. სკოლა).

3. ბურშტეინს ილია სოლომონის-ძეს (თბილისის 78-ე საშ. სკოლა).

უცხო ენების სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. პაროომიანს ვაზგენ ლეონის ძეს (ფოთის 1-ლი საშ. სკოლა).

2. ქერაშვილს იოსებ დავითის-ძეს (სიღნაღის რაიონის სოფ. ტიბაანის საშ. სკოლა).

ისტორიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. შაქარიშვილს თამარ ალექსანდრეს ასულს (თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულის საშ. სკოლა).

2. მენთეშაშვილს ალექსანდრე ნიკოლოზისძეს (სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაჩხაანის საშ. სკოლა).

3. თავართქილაძეს შალვა ტარასისძეს (მახარაძის რაიონის სოფ. ბახვის საშ. სკოლა).

4. გოგუაძეს ეკატერინე სანდროს ასულს (ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოითის საშ. სკოლა).

გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ჩხეიძეს ოთარ შალვას ძეს (ქუთაისის 26-ე საშ სკოლა),

2. რუხაძეს ციალა ვლადიმერის ასულს (წულუკიძის რაიონის სოფ. კონტიუათის 7-წლიანი სკოლა).

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. გოხიძეს მიხეილ გიორგისძეს (ბათუმის მე-6 საშ. სკოლა).

2. კაკაურიძეს აკაკი ნიკოლოზის ძეს (თბილისის მე-4 საშ. სკოლა).

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ოთარაშვილს შევასტიან მარკოზის-ძეს (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი).

2. შანავას ალექსანდრე ანდრიას ძეს (თბილისის 36-ე საშ. სკოლა).

3. ცირეკიძეს ივანე თავითის ძეს (ტყიბულის 1-ლი საშ. სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ნებიერიძეს მერი მელქოს ასულს (ზესტაფონის რაიონის სოფ. ტყლაპივაკის 7-წლიანი სკოლა).

2. კემულარიას ქსენია იასონის ასულს (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი).

3. გამყრელიძეს პავლე კონსტანტინეს ძეს (თბილისის მე 16 საშ. სკოლა).

4. ხვინგიას ნინო გიორგის ასულს (სოხუმის მე-10 საშ. სკოლა).

ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. დემეტრაძეს ქვთევან ნიკოლოზის ასულს (თბილისის მე-12 საშ. სკოლა).

7. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს გაზ. „სახალხო განათლებისა“ და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა მორიგ კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 18 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 393

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 23 აპრილი.

პედაგოგიკის სტაბილური სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1953 წლის 23 ნოემბრის ბრძანების შესასრულებლად პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარა პედაგოგიკის სახელმძღვანელოს შედგენის მიმართებით.

შედგენილ იქნა ავტორთა კოლექტივის მიერ და პირველად ქართულ ენაზე გამოიცა ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის დ. ლორთქიფანიძის (მთავარი რედაქტორი), გ. თავზიშვილის, ვ ბეჟიაშვილის, ს. სიგუას და ვ. ქაჯაიას რედაქციით.

აღნიშნული სახელმძღვანელო ძირითადად ამართლებს თავის დანიშნულებას, აშუქებს პედაგოგიური თეორიის თითქმის ყველა ძირითად საკითხს, შეიცავს მდიდარ მასალას; იდეურ-თეორიული და მეთოდური თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზე დგას.

პედაგოგიკის ამ დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა პედაგოგიკის ორიგინალური კურსისა და სტაბილური სახელმძღვანელოს შედგენის საქმეში.

მიუხედავად ამისა, პედაგოგიკის დამხმარე სახელმძღვანელოს ახასიათებს ზოგიერთი სერიოზული ნაკლი. მათ შორის მთავარია:

1. სახელმძღვანელო დიდია თავისი მოცულობით და რამდენადმე გადატვირთულია მასალით;

2. სახელმძღვანელოში ადგილი აქვს განმეორებებს, ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა თავში განხილვას;

3. არ არის დაცული ერთიანი სტრუქტურა და, აგრეთვე, სტილი როგორც საკითხების გაშუქების, ისე ენობრივი თვალსაზრისით;

4. სახელმძღვანელოში დაშვებულია ზოგიერთი თეორიული ხასიათის არასიზუსტე და, აგრეთვე, კორექტურული და ენობრივი ხასიათის შეცდომები, რაც ზოგჯერ აზრს ამახინჯებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სახელმძღვანელოს ზოგიერთი თავი მთლიანად არ უპასუხებს ამჟამად მოქმედ პედაგოგიკის პროგრამას.

ზემოაღნიშნულ და, აგრეთვე, ზოგიერთ სხვა ნაკლოვანებათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ავტორთა სიმრავლე, რაც აძნელებს განმეორებათა თავიდან აცილებას, ერთიანი სტრუქტურისა და სტილის დაცვას, საკითხების გაშუქებაში ერთნაირ მიდგომას და ა. შ.

გარდა ამისა, მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს რედაქტორთა სიმრავლეც, რაც იწვევს პასუხისმგებლობის შესუსტებას.

გამომდინარე აღნიშნულიდან

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

2. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა უზრუნველყოს 1959 წლის 1 სექტემბრისათვის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისათვის პედაგოგიკის სტაბილური სახელმძღვანელოს გამოსაცემად მომზადება.

2. სახელმძღვანელო შედგენილ იქნას მოქმედი პროგრამის შესაბამისად და მისი მოცულობა განისაზღვროს 25 საავტორო ფორმით;

3. დამტკიცდეს პედაგოგიკის სახელმძღვანელოს ძირითად ავტორთა კოლექტივი შემდეგი შემადგენლობით: პროფ. გ. თავზიშვილი, პროფ. დ. ლორთქიფანიძე, დოც. გ. კიკნაძე, დოც. უ. ობოლაძე და დოც. ს. სიგუა.

4. სახელმძღვანელო დამუშავდეს და გამოიცეს პროფ. დ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით.

5. დაევალოს სახელმძღვანელოს ავტორებს და რედაქტორს უზრუნველყონ სახელმძღვანელოს შედგენა მაღალ იდეურ-თეორიულ და მეთოდურ დონეზე საბჭოთა სკოლის პრაქტიკული გამოცდილების ფართე ასახვისა და დამხმარე სახელმძღვანელოს განხილვის დროს გამოთქმულ მოსაზრებათა, წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით.

6. მოეწყოს სახელმძღვანელოს დედნის ცალკე თავების ფართე განხილვა შეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა მონაწილეობით;

7. დაევალოს სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების და სკოლების სამმართველოებს, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების შესაფერის კათედრებს, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და სკოლებს გაუწიონ საჭირო დახმარება ავტორთა კოლექტივს სახელმძღვანელოს შედგენისა და მისი განხილვის საქმეში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 18 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 400

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 26 აპრილი

1958 წლის პირველ კვარტალში საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებანი.

რუსთავის, ნორიოს და ვაკის საბავშვო სახლებში ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას შრომითი სწავლება. ამ საბავშვო სახლებში შრომითი სახელოსნოებისათვის არ არის გამოყოფილი შესაფერისი ოთახები. სახელოსნოები არაა უზრუნველყოფილი საჭირო იარაღ-მოწყობილობითა და მასალებით.

რუსთავის საბავშვო სახლში შემოწმების დროს 10 აღსაზრდელი სკოლაში არ იყო ჩაბმული.

ეწრის, ნორიოს, რუსთავის, კასპის, კოჯრის, № 2, 3, სურამისა და ვაკის საბავშვო სახლებს არასაკმაო რაოდენობით აქვთ თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალები, მაგარი და რბილი ინვენტარი.

სერიოზული დარღვევებით ხასიათდება სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაც. ყველა შემოწმებულ საბავშვო სახლში ადგილი აქვს სხვადასხვა მუხლებით თანხების გადახარჯვას და აუთვისებლობას.

კოჯრის № 3 და გეგეჭკორის საბავშვო სახლებში დარღვეულია საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1856 წლის დეკემბრის № 1671 ბრძანება აღსაზრდელთა კვების ნორმების შესახებ. ადგილი აქვს დაწესებული ნორმების ზევით პროდუქტების გაცემის შემთხვევებს.

კოჯრის № 3 საბავშვო სახლში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები უხარისხოდაა შესრულებული. სარემონტო კანტორის

დაუდევრობით ბევრი სამუშაო ხელმეორედაა შესასრულებული. ლუ-
ბელები არ ინთება, ოთახები მოუწესრიგებელია და სხვ. კაპიტა-
ლური მშენებლობის განყოფილება ჯეროვან ყურადღებას არ აქ-
ცევს შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმების საქმეს.

1957 წლის 20 ივლისს მოქ. გ. ბახტურიძეზე საბავშვო სახ-
ლის დეფექტური აქტის შედგენისათვის გაცემულია 162 მან; ან-
გარიში შემოწმებული არ არის. საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ნებართვის გარეშე საბავშვო სახლის მე-11 კლასის
გამოშვებასთან დაკავშირებით დახარჯულია 1623 მან.

გეგეჭკორის საბავშვო სახლში საბუხჰალტრო აღრიცხვიანობა
არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. შემოსავალ-გასავლის ფაქ-
ტურები საჭირო რაოდენობით არ იწერება. პროდუქტებისა და
რბილი ინვენტარის აღწერები დადგენილ ვადებში არ სწარმოებს.
სამნეო ნაწილის გამგის მიერ ბუხჰალტერიაში წარდგენილია ხელ-
წერილები შემოწმებული ანგარიშების ნაცვლად. ადგილი აქვს
ნაღდ ანგარიშზე სხვადასხვა საქონლის შეძენას.

მახინჯაურის საბავშვო სახლში ჯეროვანი ყურადღება არ ექ-
ცევა სასაწყობო მეურნეობის ძირითადი დოკუმენტების გაფორმე-
ბას. ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტურები დაუნომრავია. ხელს არ
აწერენ დირექტორი, ბუხჰალტერი და საქონლის მიმღებიც კი.
დარღვეულია მარაგში მყოფი რბილი ინვენტარის გაცემის წესი.
ზოგჯერ მივლინების ხარჯები განაღდებულია არასწორად.

სურამის საბავშვო სახლში დარღვეულია მარაგად შესანახი
პროდუქტების დაცვის წესი. ნაცვლად იმისა, რომ საწყობში
ინახებოდეს ორი კვირის პროდუქტების მარაგი. შემოწმების დღი-
სათვის საწყობში ხორცი, თევზი, ყველი, კვერცხი, ნამცხვარი,
კონფეტი და სხვა არ აღმოჩნდა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლის დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში აღ-
ნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია;

ბ) მტკიცედ დაიცვან აღსაზრდელთა კვების ნორმები; დარ-
ღვევების დაშვებისათვის მათ მიმართ მიღებული იქნება სასტიკი
ზომები.

2. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ვ. ი. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 25 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარული წერილი

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა საკავშირო ალკკ XIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში დააყენა საშუალო და უმაღლესი სკოლების გარდაქმნის უაღრესად აქტუალური საკითხები.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები არ იცნობენ წარმოებას საშუალო სკოლაში სწავლების პროგრამის ცხოვრებისაგან მოწყვეტის გამო: საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზოგიერთი მათგანი უხალისოდ მიდის სამუშაოდ ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ფიზიკური შრომისადმი ასეთი ბატონკაცური, არასწორი დამოკიდებულება თავს იჩენს ზოგიერთ ოჯახშიც, რაც შეურაცხმყოფელია სოციალისტური საზოგადოების მშრომელებისათვის. საბჭოთა საზოგადოება ვერ შეურიგდება ისეთ ნაკლოვანებებს, როცა ჩვენს სკოლაში სუსტად უნერგავენ მოსწავლეებს ფიზიკური შრომისადმი პატივისცემას.

ყველა ბავშვი, რომელიც სკოლაში შედის, უნდა ემზადებოდეს სასარგებლო შრომისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ყოველგვარი პატიოსანი შრომა სამრეწველო საწარმოსა თუ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა თუ დაწესებულებაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაა, წმინდა შრომაა, და აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის, რომელიც საზოგადოების სიკეთით ცხოვრობს და სარგებლობს. ამიტომ საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის ატმოსფერო იმათ მიმართ, ვინც შრომას უგულებელყოფს.

მოზარდი თაობის მომზადება ცხოვრებისათვის, სასარგებლო შრომის შესასრულებლად. სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ღრმა პატივისცემის დანერგვა ახალგაზრდობაში [illegible] და გახდეს ჩვენი სკოლის მთავარ ამოცანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია ამზადებდეს ყოველმხრივ განათლებულ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იციან მეცნიერების საფუძვლები, ამასთან ერთად უნარი აქვთ სისტემატურად იშრომონ; სკოლა უნდა უნერგავდეს ახალგაზრდობას მისწრაფებას სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, აქტიურად იღებდეს მონაწილეობას ქვეყნისათვის საჭირო ფასეულობათა შექმნაში.

ენიჭება რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის ახალგაზრდობის მომზადების უზრუნველსაყოფად ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ დაყენებული ამოცანების განხორციელებას

გ ა ვ ა ლ ე ბ თ:

1. მოაწყოთ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის ფართო და საფუძვლიანი განხილვა პედაგოგიურ კოლექტივებში, კოლეგიებისა და განათლების საბჭოების სხდომებზე.

2. საწარმოო სწავლების სკოლების რაოდენობის გაზრდის საკითხის პრაქტიკულად გადასაწყვეტად დააზუსტოთ რომელი ისეთი საწარმო მდებარეობს სკოლის ახლოს, სადაც შესაძლებელია საწარმოო სწავლების განხორციელება.

3. სტავროპოლის მხარის სკოლების გამოცდილების მიხედვით VII—IX კლასების მოსწავლეთაგან შექმნათ კომპლექსური ბრიგადები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ და უზრუნველყოთ მოსწავლეთა შრომის სწორი ორგანიზაცია.

4. შეჯამებული მასალები და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში წამოყენებული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის დასახული კონკრეტული წინადადებანი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინოთ ა/წ. 20 მაისისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 448

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 13 მაისი

ქ. ჭიათურის, წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. ჭიათურის, წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ სკოლას გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: დ. ავალიანი, ნ. მესხრიკაძე (ქ. წყალტუბოს ქართული საშ. სკოლა), ნ. წიქვაძე (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშ. სკ.), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: პ. კინწურაშვილი (წულუკიძის პირველი საშ. სკ.), პ. რევია (მათხოჯის საშ. სკ.), ფიზიკის მასწავლებლები: ვ. კურტანიძე, ს. ნოზაძე (ქ. ჭიათურის მესამე საშ. სკ.), დ. ჯანგავაძე (წყალტუბოს ქართული საშ. სკ.), ქიმიის მასწავლებლები: თ. მოდებაძე (ქ. ჭიათურის პირველი საშ. სკ.), ვ. დურმიშიძე (ქ. ჭიათურის II საშ. სკ.), შ. ნიშნიანიძე, ე. ბაღდავაძე (წყალტუბოს რაიონი, მუხიანის საშ. სკ.), ისტორიის მასწავლებლები: მ. თევდორაძე, მ. კვიმსაძე (ქ. წყალტუბოს ქართული საშ. სკ.), ლ. ურუშაძე (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშ. სკ.), ბიოლოგიის მასწავლებლები: მ. გელაშვილი (ქ. ჭიათურის მეორე საშ. სკ.), ვ. ნაზარაძე (მაღლაკის საშ. სკ.), დაწყებითი კლასის მასწავლებლები: მ. აბულაძე (წყალტუბოს რაიონი, ფარცხანაყანების დაწყებითი სკოლა), ი. ჯიქია (სოფელ პირველი წყალტუბოს დაწყებითი სკოლა), თ. ტერელაძე (წულუკიძის რაიონი, სოფ. ტვაზაურის დაწყებითი სკოლა), ბ. უგულავა (წულუკიძის რაიონი, სოფ. ზედა გორის დაწყებითი სკოლა).

მიუხედავად იმისა, შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ძალზე დაბალ დონეზე დგას

ქართული ლიტერატურის სწავლება წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი დ. შვანგირაძე სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის და დაბალ ხარისხოვან გაკვეთილებს ატარებს, არ ახდენს გავლილი მასალის განმეორებას, რის გამო X—XI კლასების მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის მოუთმენელი უცოდინარობა გამოამჟღავნეს. დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს აგრეთვე წყალტუბოს რაიონის მუხიანის (მასწავლებლები დ. იამანიძე და ე. ნემსაძე), წულუკიძის რაიონის ქუტირისა (მასწ. დ. ჩაკვეტაძე) და მათხოჯის (მასწავლებელი თ. ქაშიბაძე) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

სუსტად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლაში. მასწავლებელმა ნ. შავლაყაძემ სუსტად იცის რუსული ენა და უხეშ შეცდომებს უშვებს. სუსტად ფლობენ რუსულ ენას წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ბახტაძე და მათხოჯის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. კარსანიძე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იმ კლასებში, სადაც ეს მასწავლებლები ასწავლიან მოსწავლეებმა გავლილი საპროგრამო მასალის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს, არ ასწორებენ მოსწავლეთა საშინაო წერით ნამუშევრებს, ხოლო მათ მიერ გასწორებულ საკონტროლო წერით ნამუშევრებში ბევრია გაუსწორებელი უხეში შეცდომა. არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა წულუკიძის რაიონის ქუტირის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები ს. ჯღარკავა, ქ. ბეგიაშვილი).

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის საშუალო სკოლაში. მასწავლებლები ჟ. ბაბუნაშვილი და თ. ჯიშკარიანი არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, თვალსაჩინოების, ცდებისა და ექსპერიმენტების გარეშე ატარებენ გაკვეთილებს. არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა ცხუნკურის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ლ. სვანიძე). აღნიშნული სკოლების მოსწავლეებმა ფიზიკაში ელემენტარული საკითხების უცოდინარობა გამოამჟღავნეს.

ფიზიკის კაბინეტებში ხელსაწყო იარაღები უწესრიგოდაა ჩაყრილი კარადებში და გამოუყენებელია სწავლებაში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება. წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლები გ. საჩუკოვი, თ. დახუნდარიძე, ტ. ხაბურზანია სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის. არ აძლევენ მოს-

წავლეებს საშინაო დავალებებს ამოცანების ამოხსნაზე, არ აწარმოებენ გავლილი მასალის განმეორებას, სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ კაბინეტის შევსების საქმეში, არა აქვთ ქიმიური რეაქტივები და არ იყენებენ ექსპერიმენტს სწავლებაში. მსგავსი მდგომარეობაა მაღლაკის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები შ. ლექვინიძე და ლ. გოგისვანიძე). ყოვლად მოუთმენელ მდგომარეობაშია ქიმიის სწავლების საქმე წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ნ. გუჯაბიძე სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს, არ ემზადება გაკვეთილებისათვის და საგნის უცოდინარობას ამჟღავნებს. მან ვერ შესძლო ფოსფორმჟავას საფეხურებრივი დისოციაციით გამოსახვა, წარმოდგენა არა აქვს მჟავას ფუძიანობაზე (მჟავას ნაშთის ვალენტობაზე), რკინის ქვეჟანგის ფორმულის სტრუქტურულად დაწერის დროს უხეში შეცდომა დაუშვა, ვერ ახსნა სუფრის მარილის წყალსსნარის ელექტროლიზი (მწვავე ნატრის მიღება ელექტროლიზით), არ იცის წყლის დასაშლელი ხელსაწყოს—გოფმანის აპარატის მოხმარება. მასწ. ნ. გუჯაბიძეს უხეშად ერღვევა დისციპლინა გაკვეთილებზე. მას დაცემული აქვს ავტორიტეტი მოსწავლეთა და მშობელთა შორის.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლაში (მასწ. ან. ბაზღაძე). კაბინეტში თვალსაჩინო მასალები არ არის დალაგებული, წესრიგში მოყვანილი და სათანადოდ გამოყენებული სწავლებაში. მასწავლებელი ბაზღაძე გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, საჭირო ყურადღებით არ ეკიდება გავლილი მასალის გამეორებას. VI კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან კართოფილის აგებულება და ბიოლოგიური თავისებურებები, ხოლო სრულებით არ უსწავლიათ ტუბერების იაროვიზაცია. VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ნივთიერებათა ცვლა, ცილების ცხიმებისა და ნახშირწყლების დაშლა. ნორჩ ნატურალისტთა წრეში არ ტარდება პრაქტიკული მუშაობა. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ჭიათურის პირველ საშუალო სკოლაში (მასწ. ა. ქარქაშაძე). წულუკიძის რაიონის ქუტირის საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგედ დანიშნულია სამხედრო მომზადების მასწავლებელი ვ. ჯიქიძე. ნაკვეთის მუშაობის გეგმაში გათვალისწინებულია მხოლოდ ტექნიკური სამუშაოები და არ არის წარმოდგენილი ცალკე კლასების მიხედვით ჩასატარებელი ცდები და პრაქტიკული სამუშაოები, ამავე სკოლაში დაბალ დონეზე დგას ბიოლოგიის სწავლება. ანალოგიური მდგომარეობაა კუხის (მასწავლებელი ბ. გორდაძე) და წულუკიძის პირველ (მასწ. გ. გენძეხაძე) საშუალო სკოლებში.

წყალტუბოს ქართულ საშუალო სკოლაში ბიოლოგიის კაბინეტი მოთავსებულია ძალზე პატარა ოთახში, სადაც შეუძლებელია ჩატარდეს ბიოლოგიის გაკვეთილები. საპროგრამო მასალის გავლა საქმეში საგრძნობ ჩამორჩენას აქვს ადგილი ფარცხანაყანევისა და მუხიანის საშუალო სკოლებში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გ. სვანიძე დაბალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებს. არ ახდენს გავლილი მასალის განმეორებას. ანალოგიური მდგომარეობაა წულუკიძის რაიონის ქუტირის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი გ. ცანავა). სრულიად მოუთმენელ მდგომარეობაშია ისტორიის სწავლება წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გ. ბაბუნაშვილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, თვით მასწავლებელმა ვერ შესძლო განსაზღვრა, თუ რატომ ჩაება რუსეთი პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში, მეორე მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები, თანამედროვე იმპერიალისტური აგრესიული ბლოკები და მათი მიზნები.

დაბალ დონეზე ისწავლება გეოგრაფია ქუტირის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი თ. რუხაძე გაკვეთილებს დაბალ დონეზე ატარებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გერმანული ენა ქუტირის (მასწ. ქ. ბენდელიანი), კუხის (მასწავლებელი გ. ჯურხაძე) და მათხოჯის (მასწავლებელი ნ. წვერავა) საშუალო სკოლებში. ეს მასწავლებლები ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა ზეპირსიტყვიერების ჩვევების განვითარებას, ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. ისინი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკონტროლო და საკლასო სავარჯიშო წერების მომზადებასა და ჩატარებას. მათხოჯის საშუალო სკოლის IX კლასებში გერმანულ ენას ასწავლის მ. ბარამაძე, რომელიც არ არის საგნის სპეციალისტი და არ შეუძლია საგნის სწავლება.

ცუდადაა დაყენებული მუშაობა სოფელ წყალტუბოს მეორე უბნის დაწყებით სკოლაში (გამგე ბ. ახალაძე). სასკოლო შენობა და ეზო მოუვლელია, სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთი არ არის გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის, უგულებელყოფილია ხელგარჯილობის სწავლება, არ სწარმოებს მუშაობა პიონერთა შორის. დაბალ დონეზე დგას საგნების სწავლება. ასევე დაბალ დონეზეა. არითმეტიკის სწავლება წულუკიძის რაიონის პატარა კუხის დაწყებითი სკოლის III კლასში (მასწავლებელი ვ. მებუკე), ხელგარჯილობის სწავლება სოფელ პირველი წყალტუბოს დაწყებით სკოლაში (მასწ. ქ. ბრეგვაძე) აო-

თმეტიკის სწავლება ამავე სკოლის III კლასში (მასწ. გ. საღარეიშვილი). შემოწმებული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები არ არიან ჩაბმული დაუსწრებელ უმაღლეს სწავლებაში.

შემოწმებულ სკოლებში სათანადოდ არაა მოწყობილი სახელოსნოები და არ სწარმოებს პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. სასკოლო მიწის ნაკვეთები სრულყოფილად არაა გამოყენებული სწავლებაში. სრულიად არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ელექტროტექნიკა. ბევრ სკოლაში დენის წყაროც კი არ აქვთ და ელექტროტექნიკას ზეპირსიტყვიერად ასწავლიან. სკოლებს არ აქვთ შედგენილი სასწავლო ექსკურსიების წლიური გეგმები და ექსკურსიები არ ტარდება საექსკურსიო კვირის ხარჯზე.

სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები გაკვეთილებზე დასწრებით არ ავლენენ ცალკეული საგნების სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებებს და არ ღებულობენ ქმედით ზომებს მათ გამოსასწორებლად. წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის საშუალო სკოლის მოსწავლეები საპროგრამო მასალის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ, მასწავლებლების მიერ კი ხელოვნურად მაღალი ნიშნებით არიან შეფასებული. ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ი. სვანიძე სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს; იგი არავითარ ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევს მასწავლებლების მუშაობას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა შემოწმებულ სკოლებში. მეთოდკომისიის სხდომაზე მასწავლებელთა მიერ წაკითხული მოხსენებები ზოგადია, მოხსენებებში არ ჩანს მასწავლებლის საკუთარი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე პირველი, მეორე და მესამე მეოთხედის შედეგების შესახებ მოსმენილია მხოლოდ კლასის ხელმძღვანელების ინფორმაციები, არაა გაკეთებული მეოთხედში ჩატარებული მუშაობის ანალიზი და არაა დასახული კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პედაგოგიურად და მეთოდურად გაუმართლებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი წულუკიძის პირველ, ქუტირის, წყალტუბოს რაიონის მაღლაკის, ცხუნკურის საშუალო სკოლებში.

ქ. ჭიათურის, წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებები და სკოლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხო-

რციელების საქმეს, არსებითად არ სწავლობენ მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის მიზეზებს და არ ღებულობენ ეფექტიურ ზომებს განთესვის თავიდან ასაცილებლად და სკოლიდან გასული მოსწავლეების საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად. განსაკუთრებ. ცხუნკურის საშუალო სკოლიდან 13, მათხოჯის საშ. სკოლიდან 10, ქ. ჭიათურის მესამე საშუალო სკოლიდან 10, პირველი საშუალო სკოლიდან 6 და მეორე საშ. სკოლიდან 4 მოსწავლე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ქ. ჭიათურის, წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ფართოდ გაშალონ მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ საკავშირო ალკკ XIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში დაყენებული ამოცანების განსახორციელებლად, რათა ყველა ბავშვი, რომელიც სკოლაში შედის, ემზადებოდეს სასარგებლო შრომისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად;

ბ) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის შესწავლის შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გასაუმჯობესებლად. სისტემატურად შეამოწმონ სკოლებისადმი მიცემული მითითების შესრულების მდგომარეობა;

გ) ყველა ზომა მიიღონ ახალი სასწავლო წლის სანიმუშოდ მომზადებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ სკოლებში სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტების სრულყოფილად მოწყობის საქმეს;

დ) მომავალი სასწავლო წლის პირველ მეოთხედში შეამოწმონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების საქმიანობა და თუ ისინი არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, სათანადო წესის დაცვით, დააყენონ საკითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

ე) ჩააბან დაწყებითი სკოლების მასწავლებლები დაუსწრებელ სწავლებაში და გაუწიონ მათ მუშაობაში დახმარება;

ვ). აღკვეთონ პირველ, მეორე კლასებში სწავლების საგნობრივი სისტემა.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას, სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უმოკლეს ვადაში, მოიყვანონ სრულ წესრიგზე ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიები, შეავსონ ისინი პირველი რიგის საჭიროების მოწყობილობით და უზრუნველყონ სწავლებაში მათი ნაყოფიერი გამოყენება:

გ) სანიმუშოდ მოაწყონ და მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში სასწავლო საცდელი ნაკვეთი და სასწავლო სახელოსნოები;

დ) ორგანიზებულად მოაწყონ მოსწავლეთა საზაფხულო საწარმოო პრაქტიკა და VII-IX კლასების მოსწავლეთა კომპლექსური ბრიგადები კოლმეურნეობაში სამუშაოდ;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის შენობის. ეზოს და დგამ-ავეჯის მოვლა-პატრონობის საქმეს·

3. ახალი სასწავლო წლიდან, როგორც არასპეციალისტებს, ჩამოერთვათ გერმანული ენის საათები მ. ბარაბაძეს (მათხოჯის საშ. სკ.), რუსული ენის საათები ლ. კარსანიძეს (მათხოჯის საშ. სკ.) ჩამოერთვას რუსული ენის საათები VIII-X კლასებში გ. ბახტაძეს (წულუკიძის პირველი საშ. სკ.), ნ. შავლაყაძეს (კუხის საშ· სკ.).

4. საგნის სწავლების სუსტად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელ გ. ბაბუნეიშვილს, პატარა კუხის დაწყებითი სკოლის მასწავლებელ ვ. მებუკეს გამოეცხადოთ საყვედური.

5, საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: მ. შვანგირაძეს (ცხუნკურის საშ. სკ.), დ. იამანიძეს, ე. ნემსაძეს (მუხიანის საშ. სკ.), ლ. ჩანკვეტაძეს (ქუტირის საშ. სკოლა), თ. ქაშიბაძეს (მათხოჯის საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლებს უ. ბაბუნაშვილს, თ. ჯიშკარიანს (ფარცხანაყანევის საშ. სკ.),ლ. სვანიძეს (ცხუნკურის საშ. სკ.), ქიმიის მასწავლებლებს: გ. საჩკოვს, თ. დახუნდარიძეს, ტ. ხაბურზანიას (ფარცხანაყანევის საშ. სკ.), შ. ლექვინაძეს, ლ. გოგისვანიძეს (მაღლაკის საშ. სკოლა), ბუნებისმეტყველების მასწავლებელ ა. ბაზღაძეს (ქ. ჭიათურის პირვ. საშ. სკ.). ისტორიის მასწავლებელს გ. სვანიძეს (ცხუნკურის საშ. სკ.), გერმანული ენის მასწავლებლებს: ქ. ბენდელიანს (ქუტირის საშ. სკ.), გ. ჯუხაძეს (კუხის საშ. სკ.), ნ. წვერავას (მათხოჯის საშ. სკ.). გეოგრაფიის მასწავლებელს თ. რუხაძეს (ქუტირის საშ. სკ.).

6. წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებამ (გ, თევდორაძე) წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს მთელი

მასალა ცხუნკურის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ნ. გუჯაბიძის მუშაობის შესახებ.

7. ცხუნკურის საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე რევაზ სვანიძეს მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

8. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 9 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 484

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 21 მაისს

აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში წინა წლებთან შედარებით უკეთ არის დაყენებული პოლიტექნიკური სწავლების საქმე. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გასამტკიცებლად და მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. რესპუბლიკის 29 საშუალო სკოლაში მოწყობილია ფიზიკის, 17 სკოლაში ქიმიის, ხოლო 3 სკოლაში ბიოლოგიის ლაბორატორიები. გარდა ამისა, უმრავლეს შვიდწლიან და საშუალო სკოლებში მოწყობილია სასწავლო კაბინეტები ან კლასკაბინეტები. სადემონსტრაციო ცდებისა და პრაქტიკულ.ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფილია ფიზიკაში 11 შვიდწლიანი და 20 საშუალო სკოლა, ქიმიაში—19 საშუალო სკოლა. 56 შვიდწლიანსა და 67 საშუალო სკოლაში მოწყობილია სასწავლო სახელოსნოები. აქედან მარტო მიმდინარე სასწავლო წელს სახელოსნო მოეწყო 46 სკოლაში. 18 საშუალო სკოლაში მოწყობილია მანქანათმცოდნეობის კაბინეტი, 2 სკოლაში კი—ელექტროტექნიკის კაბინეტი. სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთით უზრუნველყოფილია 375 სკოლა. ხელგარჯილობის სწავლებისათვის 5 სკოლაში გამოყოფილია ცალკე ოთახი, ხოლო 266 სკოლა უზრუნველყოფილია ხელგარჯილობის სწავლებისათვის საჭირო იარაღებითა და მასალებით.

პოლიტექნიკური სწავლების მატერიალური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა გასული სასწავლო წლისათვის წარმატებით მოსამზადებლად თელაველთა ინიციატივის პასუხად გაწლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ და სასკოლო მშენებლობათა ფართოდ გაშლამ. 1957 წლის განმავლო-

ბაში რსპუბლიკაში აიგო 31 სასკოლო შენობა, სკოლებს მიშენდა ან დაშენდა 455 ახალი საკლასო ოთახი. ამ ღონისძიებათა შედეგად ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების ყველა ეროვნული ენა გადავიდა ერთცვლიან მეცადინეობაზე. ამ ამოცანის უახლოესი ერთი წლის განმავლობაში განხორციელება იკისრეს ქობულეთის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა და განათლების მუშაკებმა. სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი გაფართოების საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს შეფორგანიზაციებმა, რომლებმაც 500 ათას მანეთზე მეტი ღირებულების იარაღ-მანქანები, დანადგარები და მოწყობილობანი გადასცეს მათ. ამ საქმეს ხელი დიდად შეუწყო თვალსაჩინო ხელსაწყოთა მაღაზიის გახსნამ ქ. ბათუმში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია სკოლებში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მეთემატიკისა და გეოგრაფიის სწავლება. მეტი ყურადღება ექცევა პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობას, სასწავლო და საწარმოო ექსკურსიების ჩატარებას, სწავლების სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პრაქტიკასთან დაკავშირებას, მოსწავლეებში მეცნიერებათა საფუძვლების თეორიული მონაცემების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ცოდნა-ჩვევების გამომუშავებას.

რესპუბლიკის რიგ სკოლებში (ბათუმის 1, მე-6, ქობულეთის 1, მე-2 საშუალო, ქედის რაიონის მახუნცეთის, შუახევის რაიონის ახალდაბის დაწყებით, ხულოს რაიონის განახლებისა და კორტოხის დაწყებითი სკოლები) კარგად არის დაყენებული ხელგარჯილობის სწავლება. მოსწავლეებს აქვთ მარტივ ნაკეთობათა დამზადების ცოდნა.ჩვევები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია სკოლებში პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოებსა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე. კარგად მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები აქვთ ქობულეთის 1, მე-2, მე-3, ხუცუბნის, ჩაქვის ქართულ და რუსულ, ქ. ბათუმის 1, მე-3, მე-17, მე-18, ბათუმის რაიონის გორის საშუალო, ახალსოფლის შვიდწლიან და რიგ სხვა სკოლებს. აღნიშნული სკოლების სახელოსნოები უზრუნველყოფილია ინსტრუმენტებითა და საჭირო მასალებით, ყველა მოსწავლე დასაქმებულია პრაქტიკული მუშაობით. მეტი ყურადღება ექცევა სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთების მოვლას და მათ მიზნობრივად გამოყენებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ქობულეთის 1, II, ხუცუბნის, ჩაქვის ქართული და რუსული საშუალო, ბათუმის რაიონის გონიოს საშუალო, ახალსოფლისა და ადლიის შვიდწლიანი, ქედის რაიონის ქედისა და წონია-

რისის საშუალო, შუახევის ვანისა და ჯაბაძეების შვიდწლიანი, ხულოს საშუალო და ქედლების შვიდწლიანი და ქ. ბათუმის მე-14 საშუალო სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებით გამოირჩევიან ბათუმის მე-3 (მასწ. ი. კობიაშვილი), 1 (მასწ. ი. დოლაბერიძე, მ. ჩიხლაძე), მე-15 (მასწ. თ. შარაშენიძე), ქობულეთის მე-2 (მას. პ. მელეტოვი, ი. მოისენკო), ბათუმის მე-18 (მასწ. ა. იოფისი და გ. პაპამოსკვიჩი) და ჩაქვის რუსული (მასწ. ი. კამენკო) საშუალო სკოლები.

გარკვეული წარმატებებია მიღწეული ქობულეთის 1 და ბათუმის მე-15 საშუალო სკოლების საწარმოო სწავლების კლასებში. მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ არჩეული სპეციალობისადმი, შრომის გამაკეთილშობილებელი გავლენის შედეგად განმტკიცდა დისციპლინა, ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე.

პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში აღსანიშნავია ბათუმის 1, მე-3, მე-5, მე-7, მე-10, მე-14, მე-15, მე-17 და მე-18 საშუალო სკოლების თაოსნობა წარმოების გაცნობისა და პროფესიების დაუფლების მიზნით მოსწავლე ახალგაზრდობის წარმოებაში ჩაბმისა და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციის საქმეში. ამ სკოლების VIII—IX კლასების მოსწავლეები კვირაში 2—3 დღეს, სწავლისაგან თავისუფალ დროს, თავისი სურვილით მუშაობენ ამა თუ იმ საწარმოში არჩეული სპეციალობის შესასწავლად. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური საფუძვლებისა და პროფესიების გაცნობის მიზნით რესპუბლიკის რიგ სკოლებში (ქ. ბათუმის 1, მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-16, ქობულეთის 1, მე-2, ქედის, ბათუმის რაიონის მახინჯაურის საშ. სკოლები) წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ორგანიზებულად ტარდება სასწავლო და საწარმოო ექსკურსიები. სკოლებში ეწყობა საწარმოთა ძირითადი პროცესების ამსახველი გამოფენები, შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან და სხვ.).

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას ხელს უწყობს აგრეთვე რესპუბლიკის სკოლების დიდ უმრავლესობაში კარგად დაყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე აგრეთვე ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურების მუშაობა. მოსწავლეები ინტერესითა და მონდომებით მუშაობენ ტექნიკურ და ნორჩ ნატურალისტთა წრეებში (ქ. ბათუმის 1, მე-4, მე-16, მე-17 ქობულეთის 1, მე-2 საშ. სკოლები). სანიმუშოდ მუშაობს ნორჩნატურალისტთა წრე ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლაში (ხელმძღვანელი ს. მეგრელიძე). ამ სკოლის

ნორჩმა ნატურალისტებმა დათესეს და აღმოაცენეს 12 ათასი ტრიფოლიატის საძირე, გააშენეს დეკორაციული ბაღი. მათვე ერთი წლის განმავლობაში საკოლმეურნეო ნაკვეთზე მოკრიფეს 16 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. რესპუბლიკის სკოლების 28 ნორჩი ნატურალისტი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია. რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეები ჩაბმული არიან საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომაში, ნაყოფიერ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს. ხულოსა და ქედის რაიონების სკოლების მოსწავლეთა მიერ გამომუშავებულია 25370 შრომადღე. ქობულეთისა და ბათუმის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოკრიფეს 1000 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. ქ. ბათუმის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მუშაობით გამოიმუშავეს 10500 მანეთი.

მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ პრაქტიკული საქმიანობისადმი. რესპუბლიკის X—XI კლასების 3207 კურსდამამთავრებელთაგან კოლმეურნეობაში წასვლის სურვილი განაცხადა 1260 ახალგაზრდამ, საბჭოთა მეურნეობაში—88, წარმოებაში—1022.

აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და განათლების განყოფილებების მხრივ სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუმჯობესებამ.

აღნიშნულ წარმატებათა მიუხედავად პოლიტექნიკური სწავლების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. სუსტია სკოლების, განსაკუთრებით სოფლად, სასწავლო-მატერიალური ბაზა. ისინი არ არიან უზრუნველყოფილი სასწავლო-კაბინეტებით, არსებული კაბინეტები ღარიბია და ამის გამო ბევრ სკოლაში არ სრულდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და პრაქტიკულ-ლაბოლატორიული სამუშაოები, არსებული სახელოსნოების დიდი უმრავლესობა პრიმიტულია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ექსპერიმენტული საგნების—ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ასევე მათემატიკის, შრომის, პრაქტიკული მეცადინეობისა და პრაქტიკუმების სწავლების საქმეში.

ბათუმის რაიონის ჩაისუბნისა და მეჯინისწყლის საშუალო სკოლებში არ ტარდება-პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები ფიზიკასა და ქიმიაში, არ ეწყობა სასწავლო ექსკურსიები. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ფიზიკისა

და ქიმიის სწავლება ბათუმის რაიონის მეჯინისწყლის (მასწ. ვ. ბარაბაძე), კირნათის (მასწ. შეშელიძე), ქედის (მასწ. კ. შერვაშიძე) საშუალო, ქობულეთის რაიონის კონდიდისა (მასწ. ი. ჩხაიძე) და გვარას შვიდწლიან (მასწ. თ. ბაჯელიძე), მერისის (მასწ. გ. წითლიძე), ნონიარისის (მასწ. ა. დავითაძე) საშუალო და ქობულეთის რაიონის ქვედასამების (მასწ. შ. კეკელია) შვიდწლიან სკოლებში.

პრაქტიკისაგან მოწყვეტით ისწავლება ბიოლოგია ქედის რაიონის მერისის საშუალო (მასწ. გ. წითლიძე), ოქტომბრის შვიდწლიან (მასწ. ს. აბაშიძე) ქობულეთის რაიონის ქახათის საშუალო (მასწ. ი. სარიშვილი), შუახევის რაიონის ნიგაზეულის საშუალო (მასწ. ვ. ხმელიძე) და რიგ სხვა სკოლებში. მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მათემატიკის სწავლებაში დიდაჭარის საშუალო (მასწ. ი. კეშელავა, ნ. გოგიჩაიშვილი), ქობულეთის რაიონის სტალინის უბნისა (მასწ. თ. თენეიშვილი) და ცეცხლაურის მასწ. ი. პიატკოვი) შვიდწლიან სკოლებში.

ქობულეთის მე-4 შვიდწლიან, ქედის რაიონის მახუნცეთის, შუახევის რაიონის უჩამბის, ხულოს რაიონის დიდაჭარის საშუალო სკოლებში პრიმიტული ხასიათი აქვს პრაქტიკულ მეცადინეობას სასწავლო სახელოსნოებში. სამუშაო იარაღებისა და ადგილების სიმცირის გამო შეუძლებელი ხდება ყველა მოსწავლის ერთდროულად დასაქმება პრაქტიკული სამუშაოთი. სახელოსნოებში არ არის დაცული უსაფრთხოების წესები. არ ეწყობა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა. სახელოსნოებს არ გააჩნია სამუშაო იარაღებისა და სამუშაო პროცესების ამსახველი პლაკატები. ზოგიერთ სკოლაში პრაქტიკულ მეცადინეობას არასპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მაგალითად, ხულოს რაიონის რიყეთის საშუალო სკოლაში პრაქტიკულ მეცადინეობას სახელოსნოში ისტორიკოსი ატარებს.

ბევრ სკოლაში მიწის ნაკვეთი მიზნობრივად გამოუყენებელი, აუგეგმავი და დაუმუშავებელია. ნაკვეთზე არ არის მოწყობილი ბილოგიური განყოფილება, გეოგრაფიული, სამეცადინო და მეტეოროლოგიური მოედნები. არ ტარდება სათანადო ცდები და დაკვირვებები (ბათუმის რაიონის მარადიდის საშუალო, ქობულეთის მე-4 შვიდწლიანი, ჩაქვის სომხური შვ. დწლიანი და სხვ. სკოლები), რესპუბლიკის 11 დაწყებით სკოლას ჯერ კიდევ არა აქვს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი. სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის უქონლობის გამო მეტად დაბალ დონეზე დგას მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების სწავლება. მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმების საათები სოფლის სკოლებში უმეტეს

შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმს ხმარდება, ხოლო ელექტროტექნიკის პრაქტიკუმი ზეპირისიტყვიერად ტარდება.

ვბრძანებ:

პოლიტექნიკური სწავლების შემდგომი გაფართოების, სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცების, მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმის არსებითად გაუმჯობესებისა და საკ. ალკ XIII ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლასთან დაკავშირებით სკოლების წინაშე დასმული ახალი ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად

1. აჭარის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ამხ. დ. თებიძემ:

ა) ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ყველა ზომა მიიღოს სკოლებში სწავლების არსებითად გაუმჯობესებისათვის;

ბ) დაავალოს სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელებს ადგილზე არსებული ყველა საშუალება გამოიყენონ სკოლებში სასწავლო სახელოსნოებისა და სამუშაო ოთახების მოსაწყობად, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში მშობელთა საზოგადოებრიობა და შეფი საწარმოები; მოაწყონ ახალი და საჭირო ხელსაწყო იარაღებით შეავსონ არსებული სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები;

გ) დასვას საკითხი რესპუბლიკის სათანადო ორგანოების წინაშე და მიაღწიოს ყველა სკოლის უზრუნველყოფას სასწავლო მიწის ნაკვეთით;

დ) სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მასწავლებელთა კადრების გადასინჯვისას მიიღოს ზომები კვალიფიციური მასწავლებლებით სკოლების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში, პრაქტიკულ მეცადინეობასა და პრაქტიკუმებში. სამუშაოდან გაათავისუფლოს ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საგნის სათანადოდ სწავლებას;

ე) მოსთხოვოს სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელებს კიდევ უფრო გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა და სკოლების მუშაობისადმი, განაზოგადონ და ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში მოწინავე მასწავლებლებისა და სკოლების მუშაობის გამოცდილება;

ვ) დაეხმარონ სახალხო განათლების ორგანოებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და ერთცვლიან მუშაობაზე გადასვლის შესახებ ქობულეთელთა ინიციატივის საპასუხოდ აღებულ

ვალდებულებათა შესრულების საქმეში;

ზ) ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა სტავროპოლის მხარის სკოლების გამოცდილების მიხედვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ VII-IX კლასების მოსწავლეთაგან კომპლექსური ბრიგადების შესაქმნელად;

თ) მიიღოს ზომები მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის და გამოსაშვები გამოცდების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

2. მოწონებულ იქნას ქ. ბათუმის ზოგიერთი სკოლის გამოცდილება მოსწავლეების მიერ წარმოების გაცნობისა და პროფესიების დაუფლების მიზნით არასასწავლო დროს მოსწავლე ახალგაზრდობის წარმოებაში ჩაბმისა და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციის შესახებ.

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დანერგონ სკოლების პრაქტიკაში ბათუმელთა აღნიშნული გამოცდილება.

3. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან (ამხ. ა. კვაჭაძე) ერთად შეისწავლოს აჭარის ასს რესპუბლიკაში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალის გახსნის შესაძლებლობის საკითხი და დასკვნა წარმოუდგინოს კოლეგიას ა/წ 1 ივნისამდე.

4. სკოლების სამართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 16 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 504

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 27 მაისი

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ კიროვის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინა; ჯერ კიდევ არ არის ყველა სკოლაში მოსწავლეებისადმი ერთიანი, მაღალი პედაგოგიური მომთხოვნელობა სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

ადგილი აქვს სასკოლო დისციპლინის დარღვევის მრავალ შემთხვევას 71-ე (დირექტორი ლ. წიგნიავაძე), 73-ე (დირექტორი ა. აგაევი), 75-ე (დირექტორი ვ. ჯაში), 104-ე (დირექტორი ნ. მელიანი) საშუალო სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი მოუმზადებელი შედის გაკვეთილებზე, რის გამოც მოსწავლეებში არ სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით. ასეთებია: პრაქტიკუმისა და ბიოლოგიის მასწავლებლები ე. ბაღაშვილი და შ. ხიზანიშვილი (65 ე სკოლა), გეოგრაფიის მასწავლებელი ე. ფირალიშვილი 68-ე საშ. სკოლა), ქიმიის და პრაქტიკუმის მასწავლებლები ი. ქარქაშაძე და ბ. ქათამაძე (75-ე საშ. სკოლა), ქართული ენისა და ქიმიის მასწავლებლები თ. კეკელიძე და მ. სოროკინა (69-ე საშ. სკოლა), ისტორიის მასწავლებელი ა. გუკასიანი და ფიზიკის მასწავლებელი ჟ. მარტიროსიანი (104-ე საშ. სკოლა), გ. იმნაიშვილი (მუშა ახალგაზრდობის მე-3 საშ. სკოლა), ქიმია—ბიოლოგიის მასწავლებელი ი. ბასკანჩილაძე და რუსული ენის მასწავლებელი ი. ტიმოშკინა (მუშა ახალგაზრდობის 23-ე საშ. სკოლა).

რაიონის ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის შემთხვევებს. 1957/58 სასწავლო წელს რაიონის სკოლებიდან გავიდა 20 ბავშვი (75-ე,— 69-ე, 104-ე სკოლები).

მოსწავლეთა დიდ მოძრაობას აქვს ადგილი 66-ე (დირექტორი

მ. მახარაძე), 72-ე (დირექტორი ა. ჩხიკვაძე), 73-ე (დირექტორი ა. აგაევი), 69-ე (დირექტორი მ. სიმონოვი) საშუალო სკოლებში.

ასეთივე მდგომარეობაა მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში (მე-3 დირექტორი—მ. ჩოჩუა, 25-ე—დირექტორი გ. ჩალაური).

75-ე და 104-ე საშუალო სკოლების ხელმძღვანელებმა არ გააკეთეს სათანადო დასკვნები მრავალი გაფრთხილებებიდან და ვერ უზრუნველყვეს სკოლებში შრომის დისციპლინის განმტკიცება, ახალი ამოცანების შესრულებისათვის სკოლის პედაგოგთა კოლექტივის სათანადოდ დარაზმვა.

სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო 75-ე საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ვ. ჯაში თვითონ სისტემატურად 1—2 საათის დაგვიანებით ცხადდება სკოლაში. 104-ე საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ნ. მელიანი განათლების განყოფილებას ხშირად არასწორ ცნობებს აწვდის. მაგალითად მან წლის განმავლობაში არცერთი განთესვა არ უჩვენა, იმ დროს, როდესაც ფაქტიურად 13 მოსწავლეა სკოლიდან განთესილი; სკოლამ არ იცის, სად არიან ეს მოსწავლეები. VII-8 კლასის 5 მოსწავლე სექტემბრიდან აპრილამდე სიაში ირიცხებოდა, ფაქტიურად კი მათ სრულიად არ უვლიათ სკოლაში. ამ სკოლის პედაგოგიურ საბჭოს 18 ოქტომბრის სხდომაზე ასეთი კურიოზული დადგენილება აქვს მიღებული: „X კლასის მოსწავლე ბ. არ იქნას სკოლაში დაშვებული მშობლის მოსვლამდე“, ამას მოყვა მეორე დადგენილება: „1. მოსწავლე ბ. ს. 1/I-დან აეკრძალოს ფიზიკის გაკვეთილებზე დასწრება. 2. განვლილი კურსი ჩაებაროს მეოთხედის ბოლოს. 3. თუ იგი გაიმეორებს ასეთ უხეშობას გაირიცხება სკოლიდან“.

რაიონის სკოლების 7813 მოსწავლიდან მიმდინარე წლის III მეოთხედის ბოლოს ვერ ასწრებდა 1318 მოსწავლე. 440 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებდა 129 მოსწავლე. სწავლაში ჩამორჩება 3274 პიონერიდან 635 და 1324 კომკავშირელიდან 180 მოსწავლე.

სუსტად მუშაობენ მეორეწლიან მოსწავლეებთან 67 ე, 71-ე 72-ე, 74-ე საშუალო სკოლები. 67-ე საშუალო სკოლაში 48 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 15 (სკოლის დირექტორი ლ. მელაძე), 71-ე საშუალო სკოლაში 29-დან—8 (დირექტორი ლ. წივწივაძე), 72-ე საშუალო სკოლაში 92-დან—21 (დირექტორი ა. ჩხიკვაძე).

დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. სულ გაცდენილი 346026-საათიდან არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 39176 საათი.

მარტო 71-ე საშუალო სკოლაში არასაპატიოდ გაცდენილია 4093 საათი, აქედან XI კლასის მოსწავლეთა მიერ—797 საათი; 66-ე საშუალო სკოლაში 5318 საათია გაცდენილი. ამ სკოლაში ოთხი XI კლასია, გაცდენილი საათების რაოდენობა 147 საათს შეადგენს.

104-ე საშუალო სკოლაში გაცდენილი 21272 საათიდან არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 4633 საათი. ამ სკოლის XI კლასების მოსწავლეების მიერ არასაპატიოდ გაცდენილია 534 საათი, IV კლასის მოსწავლეთა მიერ კი 491 საათი.

აცდენენ და იპარებიან გაკვეთილებიდან 74-ე, 73-ე, 72-ე სკოლების მოსწავლეები. ასეთი შემთხვევები ზოგჯერ არ არის აღრიცხული მასწავლებლების მიერ.

შეჩნეულია, რომ ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება და მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა ყოველთვის სათანადო პედაგოგიური წინდასედულობით არ ხდება და მასობრივ ხასიათს ღებულობს. ასე, მაგალითად 70 ე საშუალო სკოლაში წელს ყოფაქცევაში ნიშანი დაუკლეს 37 მოსწავლეს. მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის სკოლებიდან გარიცხულია 13 მოსწავლე. ამათგან 72-ე სკოლიდან 3, 73-ე სკოლიდან—5 მოსწავლე.

სასწავლო წლის დასაწყისიდან დღემდე მილიციის ბავშვთა ოთახში აღრიცხულია მოსწავლეთა მიერ წესრიგის ღარღვევის 289 შემთხვევა. ასეთი შემთხვევები შედარებით მეტი მოდის 104-ე და 71-ე სკოლებზე.

რაიონის სკოლებიდან სხვადასხვა დანაშაულისათვის პატიმრობაში მოხვედა რამდენიმე მოსწავლე (66-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე კარაკანოვი—ქურდობისათვის, 71-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე დადიანი ძარცვაში მონაწილეობისათვის, 72-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე მხიტარიანი ხულიგნობისათვის, 74-ე სკოლის მოსწავლე ბადოევი —ქურდობისათვის).

რაიონის ზოგიერთ სკოლაში არ სრულდება განათლების მინისტრის ბრძანება მილიციის ბავშვთა ოთახში მასწავლებელთა მორიგეობის შესახებ. ბავშვთა ოთახის მუშაკებს ნაკლებ დახმარებას უწევენ 65-ე, 71-ე და ზოგი სხვა საშუალო სკოლის მასწავლებლები.

რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა მიერ ფორმის ტანსაცმლის და მოსწავლის ბილეთის ტარების საქმე (68-ე, 71-ე, 73-ე, 75-ე, 104-ე სკოლები).

ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი სისტემატურად არ ამოწ-

მებს მოსწავლეთა მიერ დღიურების ტარების, მასწავლებელთა მიერ დაწერილი ნიშნების საკლასო ჟურნალიდან მოსწავლეთა დღიურებში გადატანის მდგომარეობას.

73-ე, 74-ე, 75-ე და 104-ე საშუალო სკოლებში მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას არ აღმოაჩნდა სწორად შევსებული დღიური.

75-ე, 104-ე და 73-ე სკოლების დირექტორებს ამხ. ამხ. ვ. ჯაშს, ნ. მელიანს და ა. აგაევს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 2 მარტის № 195 და 1957 წლის 24 დეკემბრის № 1826 ბრძანებები პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზედაც კი არ განუხილავთ

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განათლების განყოფილებასთან დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სახალხო განათლების საბჭო. განათლების განყოფილება სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს რაიონის სკოლებში მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ სკოლებში დისციპლინის განმტკიცების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 2 მარტის № 195 ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელად გატარება;

ბ) დააყენონ საკითხი იმ პედაგოგთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ გაკვეთილებზე წესრიგის დამყარებას;

გ) სშირად მოაწყონ ლექცია-მოხსენებები სკოლაში დისციპლინის განმტკიცების პედაგოგიური ხერხებისა და საშუალებების შესახებ;

დ) არ დაუშვან მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენისა და დაგვიანება-გაპარვის შემთხვევები;

ე) ქმედითი დახმარება გაუწიონ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევის დანერგვის საქმეში მათი ავანგარდული როლის უხრუნველსაყოფად;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მშობელთა შორის; პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე პერიოდულად დააყენონ საკითხი იმ მშობელთა შესახებ, რომლებიც თავიანთი შვილების აღზრდისადმი გულგრილობას და უპასუხისმგებლობას იჩენენ;

ზ) აღკვეთონ ბავშვთა ოთახში მასწავლებელთა მორიგეობის შეუფასებლობა, მიაღწიონ იმას, რომ ყოველი პედაგოგი მორიგეობდეს დაწესებულ საათებში;

თ) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიონ ის მოსწავლეები, რომლებიც ხშირად არღვევენ დისციპლინას და მათ მიმართ გაატარონ პედაგოგიური ზემოქმედების ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კიროვის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) სათანადო ყურადღება დაუთმოს სკოლებში დისციპლინის განმტკიცებას ჩამოაყალიბოს სახალხო განათლების საბჭო და საბჭოს სხდომებზე სისტემატურად მოისმინოს მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის საკითხი;

ბ) შეისწავლოს მოწინავე კლასის ხელმძღვანელების და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება და მოახდინოს მისი ფართო განზოგადება;

გ) განიხილოს ეს ბრძანება რაიონის სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების და მასწავლებელთა აქტივის თათბირზე, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის არსებითად გასაუმჯობესებლად.

3. მასწავლებლებს: ე. ბაღაშვილს, შ. ხიზანიშვილს, ე. ფირალიშვილს, თ. კეკელიძეს, მ. სოროკინას, ს. გუკასიანს, ჟ. მარტიროსიანს, გ. იმნაიშვილს, გ. ბასკანჩილაძეს, თ. ტიმოშკიანს, გაკვეთილებზე მოუმზადებელი შესვლისათვის მიეთითოთ.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ:

ა) 75-ე საშუალო სკოლის მასწავლებლებს ი. ქარქაშაძეს და ბ. ქათამაძეს განათლების განყოფილების მიერ დაედოთ სათანადო სასჯელი;

ბ) 104-ე საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ნ. მელიანს კიროვის სახ. რაიონის აღმასკომმა დაადო სასჯელი;

გ) 75-ე საშუალო სკოლის დირექტორის ამხ. ვ. ჯაშის საკითხს სწავლობს საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონული კომიტეტი.

აღინიშნოს რომ ამხ. ვ. ჯაში მიუხედავად გაფრთხილებისა, არ გამოცხადდა კოლეგიის სხდომაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 16 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მ ო ა დ გ ი ლ ე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 511

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 30 მაისი

სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1958/1959 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში შემოღებულ იქნას წარმოების საფუძვლების სწავლება.

2, სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ და პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე დაამუშაონ და დასამტკიცებლად წარმოადგინონ ახალი სასწავლო გეგმა და პროგრამები წარმოების საფუძვლების შესწავლის გათვალისწინებით, რასაც საფუძვლად დაუდონ რსფსრ განათლების სამინისტროს 1956—1957 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა და პროგრამები.

3. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების სასსავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

ბ) წარმოების საფუძვლების სრულყოფილად სწავლების უზრუნველსაყოფად შეავსონ სკოლა-ინტერნატები სათანადო კვალიფიკაციისა და სპეციალობის მასწავლებლებით;

4. პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატებში წარმოების საფუძვლების მასწავლებელთა მუშაობას, აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში და სასწავლო წლის დასასრულს წარმოადგინოს დასკვნები ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წარმოების საფუძვლების მასწავლებელთა მუშაობას და აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 23 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 1

ს ი ა

სკოლა-ინტერნატებისა, რომლებშიაც 1958/1959 სასწავლო წლიდან შემოღებული იქნება საწარმოო სწავლება

სკოლა-ინტერნატების დასახელება	პ რ ო ფ ი ლ ი	მატერიალური ბაზა
1. ბეთანიის	მებაღეობა-მებოსტნეობა	დამხმარე მეურნეობა
2. ბროწეულას	მებაღეობა-მებოსტნეობა	დამხმარე მეურნეობა
3. გუმათის	სადურგლო-საავეჯო საქმე	ქ. ქუთაისის საავეჯო ფაბრ.
4. თეთრიწყაროს	მეცხოველეობა	ადგილობრივი ფერმა
5. გორდის	მეცხოველეობა	ადგილობრივი ფერმა
6. ბარისახოს	მეცხოველეობა	ადგილობრივი ფერმა
7. კოჯრის	რადიო საქმე, ელექტრო-ტექნიკა	ქ. თბილისის რადიო ქარხანა
8. თბილისის	საფეიქრო საქმე	ქ. თბილისის მაუდ კამვოლის ფაბრიკა
9. ხულოს	მებაღეობა-მებოსტნეობა	კოლმეურნეობის ბაღი
10. განთიადის	მებაღეობა-მებოსტნეობა	ადგილობრივი მეურნეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 512

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 30 მაისი

გორდისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა გორდისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ დასახელებულ სკოლა-ინტერნატებში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გორდის სკოლა-ინტერნატში მოწყობილია საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები, რომლებიც უზრუნველყოფილია საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და მასალით. კარგად მუშაობს ბარისახოს სკოლა-ინტერნატის სამკერვალო სახელოსნო. მკერავთა წრეში გაერთიანებული აღსაზრდელები მონდომებით სწავლობენ კერვას და აწარმოებენ დახეული ტანსაცმელის შეკეთებას.

კარგად მუშაობენ გორდისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატებში რადიო, „ფოტომოყვარულთა" და ნორჩ კინოდემონსტრატორთა წრეები. პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ნაყოფიერად მიმდინარეობს გორდის სკოლა ინტერნატში, რომელსაც აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო-საცდელი ნაკვეთი და დამხმარე მეურნეობა.

კარგადაა დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება გორდის სკოლა-ინტერნატში. მასწავლებელი გ. მუშკუდიანი ყოველთვის გულმოდგინედ ამზადებს მასალას; იგი მაღალ იდეურ, მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს. მისი მოსწავლეები გავლილი საპროგრამო მასალის მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ.

დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ბ. არაბული).

დიდი მონდომებით მუშაობს გორდის სკოლა-ინტერნატის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. სავჩენკო. ასევე კარგად მუშაობს ბარისახოს სკოლა-ინტერნატის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. ტერეპოვი. კარგადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება გორდის სკოლა-ინტერნატში. მასწავლებელი დ. უგულავა მოსწავლეებს მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას აძლევს.

ნაყოფიერად მუშაობენ გორდის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი ნ. ზერაგია და ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი ლ. ჯანაშია.

მიუხედავად ამისა, გორდისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. სათანადო სიმაღლეზე არ დგას ქიმიის სწავლება ბარისახოს სკოლა-ინტერნატში. მასწავლებელი ვ. მოწონელიძე (სპეციალობით ბიოლოგი) სრულყოფილად ვერ ფლობს საგანს და ექსპერიმენტის ჩატარების ხერხებს. მას არ ჩაუტარებია მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი სადემონსტრაციო ცდები. რეაქტივები, ქიმიური ჭურჭლები და სხვა მოწყობილობანი მას ერთ კარადაში აქვს მოთავსებული ბიოლოგიისა და ფიზიკის ხელსაწყოებთან ერთად. წყლის დასაშლელი ხელსაწყო (ჰოფმანის აპარატი) და ევდიომეტრი შემოწმებისას ფიზიკის ხელსაწყო-იარაღებში აღმოჩნდა შერეული.

გავლილი საპროგრამო მასალის ძალიან დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს VIII—XI კლასების მოსწავლეებმა. XI კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ქიმიური ფორმულების სტრუქტურულად გამოსახვა, სრულებით ვერ ერკვევიან ემპირული ფორმულებიდან ცალკეული ელემენტების ვალენტობის განსაზღვრაში, ბოტლეროვის ქიმიური აგებულების თეორიაში, იზომერიაში და ა. შ. არ არის მოწყობილი ქიმიის კაბინეტი გორდის სკოლა-ინტერნატში (მასწ. სულაბერიძე).

რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება ბარისახოს სკოლა-ინტერნატში. ბიოლოგიის კაბინეტი, რომელიც მოთავსებულია ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტთან ერთად, ძალიან ღარიბია, განსაკუთრებით ბოტანიკაში. არაფერია გაკეთებული კაბინეტის შევსებისათვის ჰერბარიუმებით, სველი პრეპარატებით, ფიტულებით, მწერებისა და თესლების კოლექციებით. ნორჩ ნატურალისტთა წრე ფორმალურად არსებობს და არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ ეწევა. მასწავლებელი არ ახდენს გავლილი მასა-

ლის სისტემატურ განმეორებას. სწავლებაში სრულებით არ არის გამოყენებული სასწავლო კინოფილმები. არ ეწყობა სასწავლო ექსკურსიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ისტორიაში ბარისახოს სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ს. ალუდაური). მათ ვერაფერი თქვეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: იმპერიალისტურ ომში რუსეთის ჩაბმის მიზეზები, ლენინის აპრილის თეზისების არსი, ვერსალის საზავო ხელშეკრულების პირობები, მიუნხენის შეთანხმების არსი, თანამედროვე აგრესიული ბლოკები და სხვ. სრულიად არ არის სწავლებაში გმოყენებული რუკა და თვალსაჩინოების სხვა მასალა. მასწავლებელი გაკვეთილებზე ვერ იჩენს სათანადო პედაგოგიურ ტაქტს, რაც იწვევს მოსწავლეთა უდისციპლინობას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გეოგრაფიის სწავლება ბარისახოს სკოლა-ინტერნატში (მასწ. ან. გუშარაშვილი). არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი და სასწავლო კაბინეტი, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები, მოსწავლეები ვერ ერკვევიან რუკაზე.

არ არის შექმნილი პოლიტექნიკური საგნების სწავლებისათვის საჭირო პირობები ბარისახოს სკოლა-ინტერნატში. ძალზე ღარიბია სასწავლო კაბინეტები. შეუძლებელია, მაგალითად, პრაქტიკუმების ჩატარება ელექტრო-ტექნიკაში. არა აქვთ ტაბულები, მანქანათა ნაწილები და კვანძები. სრულიად არ არის მოწყობილი საზეინკლო სახელოსნო.

სკოლა-ინტერნატებში გვხვდება გაკვეთილების დაქუცმაცების შემთხვევები.

გორდის სკოლა-ინტერნატის IV კლასს 7 მასწავლებელი ასწავლის; ბარისახოს სკოლა-ინტერნატის V კლასში არითმეტიკას ასწავლის აღმზრდელი ე. გედევანიშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს პედაგოგიური სასწავლებელი და არ შეუძლია ამ საგნის სწავლება, ხოლო VI კლასში — აღმზრდელი თ. ბუჩუკური, რომელიც სპეციალობით გეოგრაფია.

აღნიშნულ ინტერნატებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მეთოდური მუშაობა, არ სწარმოებს მოწინავე მასწავლებელთა და აღმზრდელთა გამოცდილების განზოგადება, სასწავლო წლის მეოთხედების ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის გაკეთებული მეოთხედის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ღრმა ანალიზი და არაა დასაბუთული კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გორდის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებს ჯ. ზერაგიას, თ. მელაძეს, დ. კინწურაიშვილს და ბარისახოს სკოლა-ინტერნა-

ტის აღმზრდელებს გ. არაბულს, ე. გედევანიშვილს, ლ. ჯავახოვს კარგად ყავთ ორგანიზებული თავიანთი საალმზრდელო ჯგუფები. ისინი დიდი მონდომებითა და ხალისით მუშაობენ აღსაზრდილებთან და საალმზრდელო ჯგუფებში სანიმუშო წესრიგი აქვთ.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა ბევრი აღმზრდელის მიმართ. გორდის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებს თ. იზორიას, ნ. შუბლაძეს, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ ფ. კოვზირიძეს არ იზიდავთ თავიანთი სამუშაო, არ მუშაობენ თავიანთი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, წარმოდგენა არა აქვთ სკოლა-ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსსა და მეთოდებზე. შუბლაძე და კოვზირიძე ვერ დაახლოვებიან აღსაზრდელებს, ახლოს არ არიან აღსაზრდელებთან. ისინი სათანადო კოლეგიალურ ურთიერთობაში არ არიან თავიანთ ამხანაგებთან, არ ასრულებენ დირექციის დავალებებს.

ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს აღსაზრდელთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა-ინტერნატიდან გარიცხულია 8 აღსაზრდელი.

გორდის სკოლა-ინტერნატის ლამაზ ბუნებრივ გარემოს ეტყობა პედაგოგიური და აღსაზრდელთა კოლექტივის მზრუნველი ხელი. კარგად არის მოვლილი ხეივნები, ნარგავები. აუზები და სხვ. მაგრამ ამ მხრივაც ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი. საჭიროა არხების მილების შეკეთება, ახალი არხების გაყვანა გზებისა და მოედნებისათვის ნიაღვრების ასაცილებლად, დეკორატიული მცენარეების გაშიშვლებული ფესვების ნოყიერი მიწით დაფარვა, აუზებისა და შადრევნების შეკეთება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გორდისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სასწავლო კაბინეტების მოსაწყობად და ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით მათ შესავსებად; ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორმა უზრუნველჰყოს ახალი სასწავლო წლისათვის სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოების მოწყობა;

ბ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებს და მიაღწიონ სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

გ) ჩამოაყალიბონ ნორჩ ქიმიკოსთა, ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა წრეები და უზრუნველყონ მათი ნაყოფიერი მუშაობა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) არსებითად გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა, უზრუნველყონ მოწინავე მასწავლებელთა და აღმზრდელთა გამოცდილების განზოგადება;

ე) სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ღრმა ანალიზი გაუკეთონ ჩატარებულ მუშაობას და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ვ) სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ აღმზრდელებს მუშაობაში, მიაღწიონ, რომ ყველა აღმზრდელი უზრუნველყოფდეს აღსაზრდელთა მტკიცე კოლექტივის შექმნას და სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის დამყარებას;

ზ) გორდის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ჩამოაყალიბოს მეგაღე-დეკორატორ-ების ბრიგადა, რომელიც უზრუნველყოფს არხების მილების შეკეთებას, ახალი არხების გაყვანას, დეკორატიული მცენარეების გაშიშვლებული ფესვების ნოყიერი მიწით დაფარვასა და სხვა სამუშაოების შესრულებას.

2. ახალი სასწავლო წლიდან, როგორც არა სპეციალისტებს, ჩამოერთვათ მათემატიკის საათები ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებს თ. ბუჩუკურსა და ე. გედევანიშვილს.

3. გორდის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა მომავალში არ დაუშვას საგნების დაქუცმაცების პრაქტიკა.

4. საგნის ცუდად სწავლებისა და მოსწავლეთა სუსტი მომზადებისათვის გამოეცხადოს საყვედური ბარისახოს სკოლა ინტერნატის ისტორიის მასწავლებელ ხ. ალუდაურს.

5. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებამ (ო. ბურდული) საგნის ცუდად სწავლებისა და მოსწავლეთა სუსტი მომზადებისათვის სათანადო სასჯელი დაადოს ბარისახოს სკოლა-ინტერნატის გეოგრაფიის მასწავლებელ ა. გუშარაშვილს.

6. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოს ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ქიმიის მასწავლებელ ვ. მოწონელიძეს.

7. აღსაზრდელთა შორის სუსტი მუშაობისა და დირექციის დავალებების შეუსრულებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური გორდის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს თ. შუბლაძეს; გაფრთხილებული იქნას იგი, რომ თუ არსებითად არ გააუმჯობესებს მუშაობას, განთავისუფლებული იქნება სამუშაოდან.

8. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოების განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) პირველ შესაძლებლობისთანავე გამოუყოს ბარისახოს სკოლა-ინტერნატს საღურგლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საზეინკლო სახელოსნოებისათვის დაზგები და შიდა წვის ძრავით მომუშავე ერთფაზიანი სინქრონული გენერატორი.

9. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებამ (თ. ბურდული) ახალი სასწავლო წლის პირველ მეოთხედში შეისწავლოს ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ამ ბრძანებით აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მუშაობა და თუ ისინი არსებითად არ გამოასწორებენ მდგომარეობას, წარმოადგინოს პროექტი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ.

10. ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ ფ. კოვზირიძისა და დირექტორ ი. ტუტურიშვილის ურთიერთობის საკითხი შესწავლილ იქნას დამატებით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 23 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 515

ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

от 31 мая 1958 года

Об опыте работы 43-ей средней школы гор. Тбилиси по укреплению сознательной дисциплины среди учащихся

Заслушав доклад директора 43-ей средней школы тов. Корсавели Г. А. отмечаю, что дирекцией школы и педагогическим коллективом проведена большая работа в целях укрепления сознательной дисциплины среди учащихся.

В своей повседневной работе школа руководствовалась приказом Министерства просвещения Грузинской ССР за № 195 о мероприятиях по укреплению дисциплины в школах.

Большинство преподавателей школы добросовестно готовится к урокам и проводит их на должной высоте. Они ежедневно и ежечасно своим личным примером и применением педагогически продуманных методов насаждают дисциплину и порядок в школе.

Дирекцией школы систематически и правильно применяются меры поощрения и наказания учащихся, что находит отражение в книге приказов директора, а также в протоколах заседаний педагогического совета. Несмотря на то, что в школе за текущий учебный год не было ни одного значительного нарушения, вопросы, касающиеся дисциплины были заслушаны на заседаниях педсовета 5 раз.

При школе существует об'единение классных руководителей, возглавляемое опытным преподавателем Тевзадзе М. И. Это об'единение ведет работу по определенному плану, следит за выполнением классными руководителями воспитательных планов, помогает отдельным классным руководителям и предметникам товарищескими советами и практически в установлении дисциплины на уроках, в организации

детского коллектива в классе, в проведении отдельных внеклассных мероприятий.

Школьные ученические организации и родительский комитет оказывают большую помощь дирекции и преподавателям в деле укрепления сознательной дисциплины среди учащихся.

Комсомольцы и пионеры школы два раза получили грамоты ЦК ВЛКСМ Грузии за первенство по сбору лома. Они занимаются голубеводством, пчеловодством, разведением шелкопряда, кройкой и шитьем. Комсомольцы школы принимают практическое участие на стройках города. Там они непосредственно видят трудовую жизнь, знакомятся со строгим соблюдением трудовой дисциплины на производстве и т. д. Все это воспитывает волю учащихся, приучает преодолевать трудности, дисциплинирует их.

В коридорах школы в большом количестве имеются комнатные растения (за которыми заботливо ухаживают учащиеся).

Коридоры и вестибюли школы украшают красиво оформленные стенды, стенгазеты, шкафы заполненные изделиями учащихся по ручному труду.

Уход за цветами, трудовое участие в устройстве и оформлении стендов и выставок, дисциплинирует детей, прививает им любовь к труду и бережное отношение к школьному имуществу.

В школе до минимума доведено количество опозданий и пропусков по неуважительной причине.

Хорошо поставлено интернациональное воспитание учащихся. С этой целью школа, а также отдельные учащиеся и классы установили дружескую переписку с учащимися ряда стран народной демократии и братских республик. В школе устроена выставка писем и подарков, получаемых из этих стран и республик. Кроме того, учащиеся школы установили дружескую связь с войнской частью, где учащиеся своими силами часто устраивают концерты и утренники. Военнослужащие этой части, в свою очередь, посещают школу и принимают участие в массовых мероприятиях, проводимых в школе.

На должной высоте стоит кружковая работа. Особенно выделяется хорошей работой литературный кружок, возглавляемый преподавательницей Шароевой Т. Г. Кружок систематически выпускает общественно-политический и литературно-художественный журнал „К знанию“.

Ежегодно в феврале месяце школа проводит встречу учащихся с бывшими выпускниками, которые ныне верно служат Родине в различных отраслях народного хозяйства. Эта хорошая традиция имеет огромное воспитательное значение для учащихся.

Несомненно, что все проводимые школой мероприятия, направленные на улучшение дисциплины, оправдываются — день учащихся заполняется, приучаются ценить время, уважать коллектив, развивается их художественный вкус.

Несмотря на достигнутые успехи, в школе имеются и некоторые недостатки. Так например, работа неопытных преподавателей Дзадзуашвили Г. И. (физика), Сафарова (физкультура), Лифшиц (астрономия) и Шляхова (классный руководитель) требует серьезного улучшения.

Одобряя опыт работы 43-ей средней школы гор. Тбилиси,

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Настоящий приказ обсудить на заседаниях педагогических советов школ республики.

2. Редакции газеты „Сахалхо ганатлеба“ осветить работу 43-ей средней школы по укреплению сознательной дисциплины среди учащихся.

Министр просвещения
Грузинской ССР **Г. Н. Джибладзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 516

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 31 მაისი

საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ისტორიის სწავლების მხრივ რესპუბლიკის სკოლებში დაგროვილი დიდი გამოცდილებისა და ისტორიკოს მასწავლებელთა კადრებით სკოლების უზრუნველყოფის მიუხედავად ამ საგნის სწავლება სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. საქართველოს ისტორია დღემდე ისწავლება მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისამდე. ზოგიერთი მასწავლებელი საქართველოს ისტორიას არ ასწავლის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასთან მჭიდრო კავშირში, საქართველოს ისტორიის გაკვეთილები სათანადოდ არ არის გამოყენებული მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაჭრისათვის, ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი მეფეებისა და მხედართმთავრების როლის გადაჭარბებულად შეფასება, არადაძაკმაყოფილებლად შუქდება ხალხთა მასების ბრძოლის საკითხები.

რესპუბლიკის სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება ძირითადად სწარმოებს ძველი პროგრამის მიხედვით, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე და მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. 1957 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ახალი პროგრამა კი ძალზე გადატვირთულია მეორეხარისხოვანი მასალებით, განსაკუთრებით ძველი პერიოდის ნაწილში; ახალი პერიოდის მთელი რიგი აქტუალური საკითხები ამ პროგრამაში სათანადოდ არ არის ასახული. პროგრამას არ ახლავს განმარტებითი ბარათი. რუსულ ენაზე პროგრამა სრულებით არ არის გამოცემული.

სრულიად მოუთმენელია ის მდგომარეობა, რომ საქართველოს ისტორიის სრულყოფილი მარქსისტული სახელმძღვანელო დღემდე არ არსებობს.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო არსებით გადამუშავებასა და შემოკლებას საჭიროებს. ... ლების უმრავლესობა არაა უზრუნველყოფილი საქართველოს ისტორიაში თვალსაჩინოების მასალებით, არ არის სასწავლო ისტორიული რუკები, ქრესტომათია. სრულიად არადამაკმაყოფილებელია განათლების სამინისტროსა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ ხელმძღვანელობა და მეთოდური დახმარება საქართველოს ისტორიის მასწავლებლებისადმი. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საქართველოს ისტორიის სწავლებაში მოწინავე გამოცდილების განზოგადების საქმეს, არ უწევენ მასწავლებლებს სისტემატურ მეთოდურ დახმარებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია) და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. დ. ლორთქიფანიძე) გადაამუშაონ საქართველოს ისტორიის პროგრამა, შეცვალონ იგი და მოიყვანონ სასწავლო გეგმასთან სრულ შესაბამისობაში. პროგრამაში ზუსტად იქნას განსაზღვრული საქართველოს ისტორიის სწავლების მიზნები და ამოცანები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის საკითხებს, საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ როლს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მშრომელი ხალხის ბრძოლას და საბჭოთა საქართველოს მეურნეობისა და კულტურის ყოველმხრივ გაშუქებას. პროგრამა, რომელიც მასწავლებელს მისცემს საქართველოს ისტორიის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასთან მჭიდრო კავშირში სწავლების ორიენტაციას, გამოიცეს ქართულ და რუსულ ენებზე და დაეგზავნოს სკოლებს ა/წ. 10 აგვისტოსათვის.

2. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა არსებითად გადაამუშაოს და შეამოკლოს საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო და დააჩქაროს მისი გამოცემა.

3, სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ:

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად: ა) ახალი სასწავლო წლისათვის მოამზადოს და გაუგზავნოს სკოლებს მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურის ანოტირებული და ბიბლიოგრაფიული ცნობარი საქართველოს ისტორიის საკითხებზე;

ბ) მიიღოს ზომები თვალსაჩინოების მასალების, აგრეთვე საქართველოს ისტორიაში საკითხავი წიგნისა და ქრესტომათიის გამოსაცემად; მოაწყოს საქართველოს ისტორიაში სასწავლო ფილმების გამოშვება.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. გ. ასპინძელაშვილი) მოაწყოს სპეციალური გადასამზადებელი კურსები საქართველოს ისტორიის მასწავლებელთათვის.

5. სკოლების სამმართველომ, სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერონ მეთოდური დახმარება საქართველოს ისტორიის მასწავლებლებისადმი; განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილი მასწავლებლების მეშვეობით ჩაატარონ სემინარები და ლექციები.

6. პედაგოგიკურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა, განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა განაზოგადონ და ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილება.

6. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა დასახმარებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
1.	ბრძანება № 334—სამტრედიისა და ვანის რაიონების სკოლების დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	3
2.	ბრძანება 344—ა. წულუკიძის სახ. ჭუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 25 წლისთავთან დაკავშირებით ინსტიტუტის მუშაკთა სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ დაჯილდოების შესახებ	9
3.	ბრძანება № 358—ჭიათურის რაიონის სოფ. ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . .	12
4.	ბრძანება № 388—თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	17
5.	ბრძანება № 389—ზესტაფონის რაიონის საზანოს საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	26
6.	ბრძანება № 392—XII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების შესახებ	32
7.	ბრძანება № 393—პედაგოგიკის სტაბილური სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ	42
8.	ბრძანება 400—1968 წლის პირველ კვარტალში საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	45
9.	ცირკულარული წერილი	
10.	ბრძანება № 448—ქ. ჭიათურის, წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	50
11.	ბრძანება № 484—აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ	58
12.	ბრძანება № 504—ქ. თბილისის კიროვის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ	65
		85

13. ბრძანება № 511—სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა შრომითი აღზრ-
დის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 70

14. ბრძანება № 512—გორდისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატებში
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შე-
სახებ 73

15 Приказ № 515—об опыте работы 43-ей средней шклолы гор.
Тбилиси по укреплению сознательной дисциплины среди
учащихся 79

16. ბრძანება № 516—საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საქართვე-
ლოს ისტორიის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ 82

№ 425
10/X 58

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე

* * *

გადაეცა წარმოებას 18/VI—58 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,5. საღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 5,5, სტამბის შეკ. № 496. ტირაჟი 5.000.

უ ფ ა ს ო

* * *

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა
უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография министерства просвещения Гр. ССР
ул. Уш. Чхеидзе 19